საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 2 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გამოწერის ფასი თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი [illegible] 15 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი მეოთხე გვერდზე 15 მანეთი ხელმოწერილი განცხადება ჩვეულებრივ [illegible] (15 × 2) 500 მანეთი [illegible] განცხადებები და ხელმოწერა მიიღება [illegible] ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 249

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

№ 249

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებული მეუღლე გოგუცა, შვილები: მიშა და ქეთო, ძმა სტეფანე, დები: ვიქენცია ანიჩკა ლიზა, სიძეები ნიკო აზნაურო-ვი, პეტრე ერემოვი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ივანე ნიკოს ძე დემუროვის

გარდაცვალებას. დასაფლავება სამშაბათს 2 ნოემბერს ქალაქ ოზურგეთში. (ფ. 1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა ტერეზა, შვილები: კოკილა, მაშო: ანუშკა და ვალო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი სიძის

ვანო ნიკოლოზის ძე დემუროვის

გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ოზურგეთში ნაშუადღევის 3 საათზე. (3519—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე გოგუცა, შვილები: შუტუ და მიშა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარის

ივანე (ვანო) ნიკოლოზის ძე დემუროვის

გარდაცვალებას დასაფლავება მოხდება დღეს სამშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე მოედნის ეკლესიის გალავანში. (3519—1—1)

ოზურგეთის დრამატიული საზოგადოების გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამსახურებულ სცენის მოყვარის

ივანე ნიკოს ძე დემუროვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს 2 ნოემბერს ქ. ოზურგეთში. (3516—1—1)

ღრმად დამწუხრებული სიდედრი ტერეზა, ცოლის დები: კატო მაშო კუკილა, თავიანთ ქმრებით ანუშკა და ნაშა, ცოლის ძმა ვალო პატრეშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი სიძის

ივანე ნიკოლოზის ძე დემუროვის

გარდაცვალებას. (ფ. 2—1)

დიდათ დამწუხრებულნი გრიგოლ ნიკოლოზის ძე პაპიტაშვილი შვილებით თამარ და დავითით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 29 გორის მაზრის სოფელ [illegible] გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენთა დედა

თეკლე გიორგის ასული პაპიტაშვილი

(3514—1—1)

მარიამ ივანეს ასული, მარიამ დავითის ასული, ვასილი ბესარიონის ძე, ანასტასია რაფაელის ასული შვილებით, ივანე ბესარიონის ძე, ნიკიფორა ერასტის ასული შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: პირველი საყვარელი ქმრის, მეორე ძვირფასი შვილის, მესამენი და მეოთხენი დაუვიწყარ ძმის და მამის

სპირიდონ ბესარიონის ძის კახიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება 2 ნოემბერს სოფ. ალისუბანში (შორაპნის მაზრა). (3518—1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

სამშაბათს, ნოემბრის 2-ს
დავით კლდიაშვილის პიესები
„დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“
ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
დასაწყისი სად. 8 საათზე. რეჟისორი აკაკი ფაღავა.
(ნ. 1—1)

სახელმწ. თეატრი
2 ნოემბერს
ქეთო და კოტე
3 ნოემბერს ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა. 4 ნოემბერს კარმენ. 5 ნოემბ. ბალეტი საღამო მიხ. მორდკინისა დასაწყისი 8 ს. (ნ. 1—1)

ტფილისის ხელოსანთა სამმართველო

სთხოვს ცეხის უფროსებს და დეპუტატებს მობრძანდნენ ოთხშაბათს 3 ნოემბერს საღამოს 6 საათზე.

საზოგადო კრებაზე

გადაუდებელი კითხვების გასარჩევათ. კრება შესდგება ხელოსანთა სამმართველოს შენობაში (პლეხანოვის ქ. № 66) თუ რომ საკმაო წევრთა რიცხვი არ გამოცხადდა, საზოგადო კრება მეორეთ დაინიშნება 7 ნოემბერს საღამოს 10 საათ იმავე შენობაში. (3521—1—1)

ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ გახსნა

„საბავშო ბაღი“

ბავშვები მიიღებიან 3 წ.—6 წლამდ. ჩაწერა ბავშვებისა დაიწყება 3 ნოემბ. 11 საათ.—2 ს. ბებუთოვის ქუჩა № 52. სწავლა იქნება ქართულ ენაზე. (3535—1—1)

ისევ ადერბეიჯანის გამო

საზოგადოებაში კვლავ გავრცელებულია ხმები ადერბეიჯანთან ხელშეკრულების დადების შესახებ.

სიცივე, მატარებლების რიცხვის შემცირება, შეშის ნაკლებობა, რომელსაც რკინისგზა და ქარხნები ითხოვენ, და სხვა მთელი რიგი მოვლენებისა, ქმნის ისეთ ფსიხოლოგიურ მდგომარეობას, როდესაც ადვილია ხალხს დააჯერო, რომ ნავთი ხვალ შემოვა. ასეთ ცნობებს ავრცელებენ, ასეთ ცნობებს „უტყუარი წყაროებიდან“ იძლევიან სხვადასხვა პირები. და მის განხორციელების ნიშნებს კი მაინც ვერ ვხედავთ.

უნდა ერთხელ კიდევ გავაფრთხილოთ საზოგადოება. ადერბეიჯანის ხელმძღვანელთა შესახებ არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ჩვეულებრივი თვალსაზრისით, ჩვეულებრივი საზომით: ე. ი. საერთო ინტერესების მიხედვით.

საზოგადოება ამბობს, ადერბეიჯანს ესაჭიროება მრავალი ისეთი საქონლის მიღება, რომელმაც საქართველოზე უნდა გაიაროს, ან საქართველოდან იქნეს წაღებული.

ბათუმის კარები საჭიროა მისთვის არა ნაკლებ, ვინემ ნავთი ჩვენთვის. მაშასადამე საერთო ინტერესის შეგნებამ უნდა მიგვიყვანოს საერთო ხელშეკრულებამდეო მაგრამ ეს ასე არ არის, ვინაიდან იმ მეთაურთ, რომლებთანაც ჩვენ საქმე გვაქვს, არა აქვთ სწორეთ ეს შეგნება საერთო ინტერესების. კიდევ მეტი, მათ არ შეუძლიათ ამ ინტერესებზე იზრუნონ. მათი მთელი აპარატი მხოლოდ ომისა და ძალდატანებისთვის არის შექმნილი და არა მშვიდობიან მოქმედებისთვის.

რაც შეეხება მათ პირობას, დადებულ ხელშეკრულების დაცვას,—ეს ხომ საარაკოთ არის გადაქცეული. მაშასადამე, რაიმე იმედის დამყარება ადერბეიჯანთან ოდნავ მაინც ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობაზე, ფუჭი ოცნებაა, მავნე ჩვენთვის და ჩვენი ეკონომიური მომავლისათვის. ჩვენ გვგონია, რომ მოლაპარაკებების გაჭიანურება და იმ ხმების გავრცელება, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში, უმთავრესათ მიზნათ აქვს, ამ ოცნების შექმნა და ასე ხალხის დაიმედება, რომ იგი მოუმზადებელი დარჩეს.

საზოგადოებაში დაბეჯითებით ამბობენ, თვით ბაქოს საკონსულოდან მოდის ასეთი ხმები, სწორეთ იქიდან არწმუნებენ, რომ ხელშეკრულება მალე დაიდება, ნავთი წამოვა და სხვა.

თუ ეს მართალია, უნდა აღვიაროთ, რომ ბაქოს საკონსულო, ვერ მდგარა თავის სიმაღლეზე: ნებსით, თუ უნებლიეთ იგი მავნე ილუზიებს ქმნის და ამით რესპუბლიკას მხოლოდ ზიანს აყენებს.

ჩვენს დემოკრატიას არ ესაჭიროება არც უიმედო ოცნებები, არც ტკბილი დაპირებანი. ჩვენ გვინდა მხოლოდ სინამდვილე.

და ეს სინამდვილე გვეუბნება: ბაქოდან ნურას მოელით, თვით იზრუნეთ თავის საჭიროებაზე.

ჩვენმა ხალხმაც უნდა ამას შეუდგეს.

დღეს ბ-ნი ჰუსეინოვი აქა ყოფილა. იგი ახლა რუსეთის წარმომადგენელთან ერთად ახალ პირობების შემუშავებას იწყებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დაუსრულებელი ლაპარაკი დროა დათავდეს. დროა ბოლო მოეღოს ასე ფუჭათ დროის დაკარგვას.

მთელი ჩვენი ენერგია მოვახმაროთ იმ საშუალებების გამონახვას, რომელიც შინ მოგვეპოვება. ჩვენ გვაქვს ტყე, გვაქვს ქვანახშირი, გვაქვს წყალვარდნილები, ყველა ამას შეუძლია მოგვცეს საჭიროზე ბევრად მეტი სათბობი და გასანათებელი მასალა.

შევუდგეთ დაუყოვნებლივ ამათ დამუშავებას. ხოლო თავი მივანებოთ იმათ, ვინც არ ასრულებს [illegible] ხელშეკრულებას; იმათ, ვინც მხოლოდ ლაპარაკით გვიქცევენ. კომუნისტებისაგან ხეირი არც ყოფილა და არც იქნება.

პრესა

„კომუნისტებს“ (რუსულის და ქართულის) [illegible] ერთი თანდაყოლილი ავადმყოფობა აქვთ: მათ ორგანიულად არ შეუძლიათ თავიანთ მკითხველებს გადასცენ მოპირდაპირის აზრი, იმ სახით, როგორც იგი გამოითქვა. ამ დღეებში ჩვენ ის აზრი გამოვთქვით, რომ საერთო სოციალიზაცია მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც კერძო ინიციატივის ალაგს ერთბაშათ დაიჭერს საზოგადო, როდესაც ეს გადასვლა გაამრავლებს ნაწარმოების რაოდენობას და მით ასწევს ხალხის კეთილდღეობას. ამ ჩვენს აზრს რუსული „კომუნისტი“ ასე გადასცემს თავის მკითხველებს:

> „კაპიტალიზმზე ძლიერი დღეს არაფერია და არავინაა, ამიტომ თაყვანი ვცეთ მას, უკეთ რომ ვთქვათ, თაყვანი ვცეთ კაპიტალისტებს, იქნებ მათ მოგვიწყონ კაპიტალისტური წარმოება, მოგვიგვარონ მრეწველობა, ასე ამბობს მმართველი პარტია“.

ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი ეპოქა ფეოდალიზმის განადგურების ეპოქაა, ფეოდალური წყობილება ჩვენ გადავაგდეთ როგორც პოლიტიკურათ, ისე სოციალურათ და მის ადგილას დემოკრატიულს ვაშენებთ. ამ აზრს ასე იმეორებს „კომუნისტი“:

> „ჩვენ გავაუქმეთ ფეოდალიზმი, შევქმენით დემოკრატიული წესწყობილება და ეს ჩვენთვის სრულიად კმარა. დეე ფანტაზიორებმა და ავანტიურისტებმა იფიქრონ რაღაც „პროლეტარიატის დიქტატურაზე“... ეს გულახდილად და სწორედ არის ნათქვამი: საქართველოს სოც.-დემოკრატიას მხოლოდ დემოკრატიული რეფორმების უნარი შესწევს, სოციალიზმის განხორციელებას კი ისინი, ისევე როგორც კადეტები, ოქტიაბრისტები და სხ., ასე 500 წელს შემდეგ ფიქრობენ“.

დიახ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხალხსა ავანტიურიზმია „პროლეტარიატის დიქტატურაზე“ ლაპარაკი იქ, სადაც პროლეტარიატი სრულიად სუსტია; იქ მივიღებთ იმას, რაც მიიღეს კომუნისტებმა რუსეთში: „არა პროლეტარიატის დიქტატურას“, არამედ „დიქტატურას პროლეტარიატზე“. დიახ, ჩვენ დავამყარეთ დემოკრატიული წესწყობილება; მაგრამ ბოლშევიკებმა დაასაფლავეს დემოკრატიზმიც. დიახ, გლეხების ქვეყანაში ადრეა ლაპარაკი დაუყონებლივ სოციალიზმის შემოღებაზე. მაგრამ სოციალიზმს მართლაც 500 წლით ჩვენ კი არ ვაგვიანებთ, არამედ სწორეთ ის კომუნისტები, რომლებიც წარმოების შექმნის და გაძლიერების მაგიერათ მას ანადგურებენ.

ერთა საზოგადოება და საქართველო

ჩემ წერილს ერთა საზოგადოების შესახებ („ერთობა“ № 21 ოქტ.) დიდი სიამოვნება მიუყენებია ბ-ნ გვაზავასთვის. ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვა [illegible] საგანზე და ერთხელ კიდევ ვესაუბრო [illegible] კრებაში შეტანილ წინადადების ავტორს, რომელიც „საქართველოს“ ფურცლებზე (№131) შეებო ჩემ მცირე შენიშვნას.

რა იყო უმთავრესი აზრი ჩემი პირველი წერილის? მე იქ ვამბობდი: 1) საქართველოს ჯერჯერობით და, ჩემის ფიქრით, სანამ ის ცნობილი არ არის იურიდიულათ, ერთა საზოგადოების წევრათ არ მიიღებენ; და ამიტომ მის წარმომადგენელთა ჟენევის კრებაზე დასწრებაზე ლაპარაკიც მეტია; 2) არ არის საჭირო საგანგებოთ ვინმეს (მით უფრო სამი პირის) ევროპაში გაგზავნა. იქ მყოფ ევგ. გეგეჭკორს შეუძლია შეასრულოს ჩვენი მთავრობის დავალება და საზოგადოების მდივანს გადასცეს შესაფერი ნოტა.

ბ-ნი გვაზავა არ მეთანხმება—ტერმინების ხმარებაც დამიწუნა, ზოგიც სრულიად არ არის ნახმარი ვერსალის ხელშეკრულებაშიო. მარა ეს წვრილმანია და არ ღირს საყურადღებოთ მიუხედავათ იმისა, რომ ამაზე დავას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბ-ნ გვაზავას წერილში. შევეხოთ საგანს არსებითათ.

ბ-ნი გვაზავა მეკითხება: არ შეიძლება მიგვითითოთ სად და რომელი მუხლი ამბობს, რომ საზოგადოებაში შესასვლელათ შუამდგომლობა მთავრობამ უნდა აღძრასო?

საქმე იმაშია, რომ მე არ ვამტკიცებდი ვერსალის ხელშეკრულებაში ასეთი „მუხლის“ არსებობას. ბ-ნ გვაზავას რომ გულდასმით წაეკითხა ჩემი წერილი დაინახავდა, რომ მთავრობის შუამდგომლობის შესახებ ნათქვამია იმ საპასუხო წერილში, რომელიც ჩვენმა დელეგაციამ პარიზში მიიღო ერთა საზოგადოების საბჭოსაგან (წინა წერილში შეცდომით „კომიტეტი“ ვიხმარე, რაც მომაკვდინებელ ცოდვათ ჩამეთვალა). ამ წერილის არსებობა თქვენ არ იცით და არც ჩემი გჯერათ და ეს ხომ ჩემი ბრალი არაა *). მარა მე თქვენსავით სასტიკი არა ვარ და ამ არ ცოდნას ცოდვათ არ ჩავითვლით. ეხლა კი, მე თვითონ ვეკითხები პატივცემულ მოკამათეს: როგორ გგონიათ, ვინ უნდა ითხოვოს ერთა საზოგადოებაში შესვლა, თუ არა მთავრობამ, სახელმწიფოს წარმომადგენელმა ორგანომ?

ბ-ნი გ. გვაზავა ბრძანებს, არსად არ არის ნახსენები ერის „კანდიდატობაო“, მართალია, სიტყვა „კანდიდატი“ ვერსალის ხელშეკრულებაში არ არის ნახმარი (და არც მე მითქვამს ასეთი რამე, ვის ებრძვის ბ-ნი გვაზავა?), მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებაში შესვლის მსურველი ყოველი სახელმწიფო, რომელიც აკმაყოფილებს ამ საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილებას, ნამდვილათ, ფაქტიურათ არ ხდებოდეს კანდიდატათ, ასე მგონია მე. მაშ თქვენ რას ეძახით იმ პირს, ან ამ შემთხვევაში იმ სახელმწიფოს, რომელსაც კენჭი უნდა უყარონ, სანამ ის საზოგადოების წევრათ გახდებოდეს? თქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ, ბატონო, რომ თუ წევრთა ორ მესამედმა თანხმობა არ განაცხადა რომელიმე სახელმწიფოს მიღებაზე, ეს უკანასკნელი საზოგადოებაში ვერ შევა *). ბ-ნ გვაზავას კი ყველაფერი უბრალოთ და მარტივათ ჰგონია წარმოდგენილი: რადგან საქართველოს აქვს „დამოუკიდებელი მართვა-გამგეობა, როგორც ამას პირდაპირ ღიარებს პირველი მუხლი ლიგის ხელშეკრულებისა“ — „ჩვენთვის ფორმალურათ ერთა ლიგის კარი ღიაა“ და ფიქრობს ის, საკმაოა დანიშნოს სამი კაცი, რომელნიც ჩავლენ ევროპაში, საზოგადოებაში შესვლის სურვილს განაცხადებენ და მაშინვე ჟენევის კრებას დაესწრებიან.

სამწუხაროთ, სინამდვილეში ეს ასე არ ხდება. მართალია კარი ღიაა, მარა ამ კარით თქვენ მხოლოდ წინა ოთახში შეხვალთ (და არა დარბაზში) და იქ უნდა დაუცადოთ პასუხს. ასე მოაწყო საქმე ლეგენდარულ ერთა საზოგადოების სულის ჩამდგმელებმა. ყველამ იცის, რომ გერმანიას, ავსტრიას „დამოუკიდებელი მართვა-გამგეობა“ აბადიათ, მარა მათ ჯერ-ჯერობით საზოგადოების წინა ოთახში ვერ-შეუხედავთ, რადგან იქ მათ მოწინააღმდეგე ანტანტას ნება [illegible] გამოფენილი. ასე ხდება ეს, მიუხედავათ იმისა, რომ ვერსალის ხელშეკრულებაში ბ-ნ გვაზავას ვერ უპოვნია ვერავითარი მოთხოვნილებანი „ლიგაში“ შესვლისათვის. ერთია ოცნება, მეორეა სინამდვილე. ერთია ფორმალური მხარე, მეორეა ფაქტიური, რეალური.

დაგვრჩა საკითხი საქართველოს იურიდიულათ ცნობის, რომელიც ჩემის აზრით უნდა მიუძღოდეს ერთა საზოგადოებაში ჩვენს მიღებას.

თუმცა მე დაბეჯითებით და გადაჭრით არ მითქვამს და არ დამიჩემებია, რომ ამ საკითხზე არსებობს რომელიმე მუხლი ვერსალის ხელშეკრულებაში-თქო (რასაც თვით ბ-ნი გვაზავა ლოიალურათ აღიარებს), მარა ის მაინც დაჟინებით მოითხოვს ჩემგან ასეთი მუხლის დასახელებას. ამ ამბით მე ხელთ მაქვს ხსენებული დოკუმენტი და ერთა საზოგადოების ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩვენ ვკითხულობთ: „ყოველიე სახელმწიფოს (ხაზი ჩემია. ა. ჟ.) დომინიონს ან კოლონიას, რომელსაც აქვს თავისუფალი მართვა-გამგეობა... შეუძლია გახდეს საზოგადოების წევრათ თუ და სხვ. (ქვევით არის ჩამოთვლილი პირობები, რომელნიც ბ-ნ გვაზავასთვის არ არსებობენ). როგორც ვხედავთ, აქ არ ყოფილა მოხსენებული იურიდიული ცნობა, მარა ის უთუოთ იგულისხმება. ეს არის ჩემი რწმენა. როცა ერთა საზოგადოების წესდების ავტორები (ე. ი. ანტანტის წარმომადგენელნი) ამბობენ: „სახელმწიფო“ მათ, დარწმუნდით, სახეში აქვთ სრულ უფლებიანი იურიდიულათ აღიარებული სახელმწიფო. მართალია ჩვენ გვაბადია თავისუფალი და დამოუკიდებელი მართვა-გამგეობა, მარა ეს „დამოუკიდებლობა“ იქ ევროპაში სხვანაირათ ესმით. ის, ასე ვსთქვათ, ჯერჯერობით არ არის განმტკიცებული. აქამდის მოკავშირე სახელმწიფოებმა იცნეს საქართველოს მთავრობის მხოლოდ ფაქტიური არსებობა. ყველასათვის (იურისტისათვისაც) გასაგებია, რომ ეს ნიშნავს ჩვენს, ასე ვსთქვათ, სანახევროთ ცნობას, ანტანტა სიფრთხილით ეპყრობა ჩვენს საკითხს და ჩვენ დამოუკიდებლობის საბოლოოთ აღიარება არ მომხდარა. საქართველოს რესპუბლიკა გახდება მათ თვალში სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოთ მაშინ, როცა ის იქნება ცნობილი de jure. მხოლოდ მაშინ იქნება ის სახელმწიფო, რომელზედაც ლაპარაკია ერთა საზოგადოების პაქტის ხსენებულ მუხლში. ყველა ეს ამბავი რომ არ ვიცოდეთ ჩვენ, რომელნიც ბ-ნ გვაზავას სიტყვით „მწყრალადა ვართ საერთაშორისო უფლებასთან“ კიდევ მოგვეტევება, მარა ეს ნაკლებათ ეპატიება იმ პატივცემულ იურისტს, რომელიც ასე კარგ გაწყობილებაშია იმავე უფლებასთან **).

ბ. გვაზავა სამართლიან დ შენიშნავს, რომ „ახლა ფაქტი ერთა ლიგაში შესვლისა იმავე დროს არის საერთაშორისო ცნობა სახელმწიფოსი“-ო. სწორეთ რომ ამაშია საქმე. ანტანტასაც კარგათ მოეხსენება ეს და ამიტომაც არის, რომ ფაქტიურათ გვიხშობს ის იმ კარს, რომელიც „ჩვენთვის ფორმალურათ ღიაა“, თორემ მას რომ ამ ხნობით ჩვენი ცნობა სურდეს პირდაპირ და აშკარათ გვიცნობს და მიხვეულ-მოხვეულ გზას არ დაადგება.

ასე სდგას ჩემის აზრით (და სამწუხაროთ) საქართველოს ერთა საზოგადოებაში შესვლის საკითხი. ნეტავი თქვენ იყოთ მართალი და მე ვცდებოდე და ისეც მომხდარიყოს, რომ ჩვენ ხვალვე გავხდეთ ამ საერთაშორისო დაწესებულების წევრათ; ჩემთვის ეს მხოლოდ სასიამოვნო იქნებოდა. თუმცა უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენ არ ვამყარებთ დიდ იმედებს „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ“ სახელმწიფოთა მიერ შეთხზულ საზოგადოებაზე. ის იდეალებზე ძლიერ შორს არის. ის დღეს უმწეოა; მას ვერ ძალუძს ომის მოსპობა და არც დიდი სურვილიც აქვს ამისთვის. თუ ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი იქ შესვლის, ეს იმისთვის, რომ იქ ყოფნა საჭიროა, რადგან ამ გზით შესაძლოა მის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა. ჩვენ ვეცდებით შთავბეროთ მას ცხოველ-მყოფელი სული, გამოვაშკარაოთ მისი სისუსტე, უარყოფითი მხარე, დავაყენოთ სწორ გზაზე, ხელი შეუწყოთ მის სრულ დემოკრატიზაციას, ფართოთ გავაღოთ მისი კარები და ამ ნაირათ გარდავქმნათ. და დღევანდელ უძლურ ბურჟუაზიულ მთავრობათა კავშირისაგან გავხადოთ ის ძლიერ და ნამდვილ ხალხთა ლიგათ, რომელსაც მხოლოდ შეეძლება ემსახუროს მის მთავარ მიზანს: მშვიდობიანობის დამყარებას ნაციათა შორის.

ანტონ ჟორჟოლიანი.

P. S. რაც შეეხება პროფ. კავშირთა საერთაშორისო ყრილობას, რომელიც ბ. გვაზავასთვის თითქმის არაფერს არ ნიშნავს —და ეს ჩვენ არც გვაკვირს— უნდა ვსთქვა, რომ, მიუხედავათ იმისა, რომ კაუცკის უთქვამს—ალბათ თვით ბ. გვაზავასთვის —„იმედი ნუ გაქვსთ ინტერნაციონალისა“(?!), მიუხედავათ იმისა, რომ ეს ყრილობა „მოკლებულია საერთაშორისო უფლების ნიადაგს“ ჩვენ მას, წარმოიდგინეთ, მაინც დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ და მასზე დასწრება აუცილებლათ მიგვაჩნია. „ამისთანა ყრილობას არ აქვს საერთაშორისო უფლებრივი საფუძველიო“ იმეორებს ბ. გვაზავა. მერე რა? ჩვენ არ ვართ დიდ წარმოდგენის ამ „საერთაშორისო უფლებაზე“, რომლის ცოდნით ასე ამაყობს ჩვენი მოკამათე. ამ „უფლებას“ ისე ხმარობენ თქვენი ქებული „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ მთავრობანი, როგორც ეს მათ მოესურვებათ და გამოადგებათ. ხშირათ მას ცინიკურათაც არღვევენ. აბა ერთი მითხარით, სად იყო საერთაშორისო უფლება; როცა გერმანია ფეხ ქვეშ თელავდა ნეიტრალურ ბელგიას? რომელ საერთაშორისო უფლების ძალით ინგლისი და საფრანგეთი (ეს უკანასკნელი დღესაც კიდევ) ჩაერია რუსეთის საქმეში და ყუმბარებს უშენენ რუსეთს, მაშინ, როცა არც ერთი მათგანს მისთვის ომი არ გამოუცხადებია? მაჩვენეთ უფლების ასეთი „მუხლი“ რომლის ხსენებაც თქვენ ასე გიყვართ. რასაკვირველია თქვენ ეს არ შეგიძლიათ. მე კი უნდა მოგაგონოთ, რომ თუ საფრანგეთი ფართოთ ვერ ახერხებს ომს რუსეთის წინააღმდეგ და თუ ინგლისის მთავრობა ფიქრობს მასთან ზავს, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ სახელმწიფოთა მუშათა მოძრაობა მოითხოვს ზავსა და მსოფლიო მშვიდობიანობის დამყარებას. აი, ასე მნიშვნელოვანია ეს მოძრაობა რომელიც „მოკლებულია საერთაშორისო უფლების ნიადაგს“! *)

ანტონ ჟ.

ჩრდილოეთ კავკასიაში

სამოქალაქო ომი დაღესტანში

აჯანყება მოედვა გუნიბის, ავარის და ანდიის ოლქებს. დაღესტანში შექმნა ფრონტი, რომელიც სოფ. ჩოხიდან იწყება და მიჰყვება სალთანის ხიდს, გუნიბის. გატადლის; ხუნზახისა და ბოტლიხის ხაზს. აჯანყებულები გარს შემოერტყენ ხუნზახსა და გუნიბს. ბოტლიხში აჯანყებულებმა ხელთ იგდეს 200 წითელი არმიელი ტყვე. ანდიის „რევკომის“ თავმჯდომარე მუსა-კუნდუხოვი ხუნზახში გაიქცა.

---

*) იხ. პარიზში მყოფ დელეგაციის საქმე. შემოსული ქაღ. 1-ლი წერილ № 64.

*) იხ. ვერსალის ხელშეკრულება Pacti de la Societi des nations გვ. 12, მუხლი 1-ლი.

**) საკითხის გასაშუქებლათ ერთ რამეს მოვახსენებ პატივცემულ ბ. გვაზავას. როცა თქვენ ჩაბრძანდებით პარიზში (უბრალოთ და არა დიპლომატიური პასპორტით) ვალდებული ხართ გამოცხადდეთ პრეფექტურაში, სადაც თქვენ ჩაგაბარებენ (თუ თქვენი იქ დარჩენა ნებადართულია) ერთ დოკუმენტს, რომელსაც ჰქვიან la carte d'identité, ეს არის თქვენი ვინაობის მოწმობა, სიტყვა „ეროვნება“-ს პირდაპირ, რომელიც იქ დაბეჭდილია, იცით რას წაგიწერენ?— რუსი და წვრილი ანბანით: ფაქტიურათ ქართველი. ეს სისულელეა, აბსურდია, იტყვით თქვენ. თანახმა ვარ, მარა ეს ასეა. ამ პატარა ფაქტიდან დასკვნის გამოყვანა თქვენთვის მომინდვია!

*) ერთი შენიშვნა კიდევ. შრომის კონფერენციაზე (წინა წერილში შეცდომით სიტყვა „ბიურო“ ვიხმარე) საჭიროა ოთხი პირის (და არა სამის) გაგზავნა: ორს აგზავნის მთავრობა, და თითოს მუშა და პატრონი. ვასწორებ ჩემ შეცდომას, სანამ მას ბ. გვაზავა შეამჩნევდეს და ხელზე დაიხვევდეს. რაც შეეხება ბიუროს, ის შესდგება 24 წევრისაგან: 12 ნიშნავს მთავრობები; ექვსს მუშათა და ექვსსაც პატრონთა წარმომადგენლებს ირჩევენ თვით კონფერენციაზე.

დღეს

ინგლისში გაფიცვა გრძელდება. ბრემენში გაფიცვა მუშათა გამარჯვებით გათავდა.

ბელგიის მუშათა პარტიის კონგრესზე მიუღებლად იცნეს მოსკოვის მიერ წარმოდგენილი პირობები და ბოლშევიკური პოლიტიკა.

ფრანგული პრესა იუწყება, რომ რუმინიაში საერთო გაფიცვები დამარცხდა. გაფიცვები მხოლოდ სალითონო ქარხნებში და რკინის გზის სახელოსნოების თოფხანაში, გაზისა და ელექტრონის სადგურის ზოგიერთ ნაწილში გატარდა.

გენ. ვრანგელმა საფრანგეთის უმაღლეს კომისარს დე-მარტელს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი გვაქვს ბოლომდე ვიბრძოლოთო. დე-მარტელმა უპასუხა: საფრანგეთმა გადასწყვიტა შეძლებისდაგვარათ რუსეთს გაუწიოს ყოველგვარი ზნეობრივი და ქონებრივი დახმარებაო.

გაზ. „დეილი-ტელეგრაფი" იუწყება, რომ გერმანელი მრეწველები ყოველ ზომას ღებულობენ ინგლისთან სამრეწველო დამოკიდებულების აღსადგენათ.

ინგლისში უმუშევრობა საშიშ სახეს ღებულობს. უმუშევრობა გამოწვეულია მრეწველობაში გამეფებულ კრიზისით.

ქემალ-ფაშას მიუწერია ჩიჩერინისათვის: სიამოვნებით ვღებულობთ რუსეთის შუამავლობას სპარსეთთან და სომხეთთან საზღვრების საკითხში და ჩვენის მხრით ვთხოულობთ: ანტანტის გეგმების დასაშლელად საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ჩვენმა ჯარმა დაიკავოს ყარსი და სხვა ოლქები და სხვ.

16 ოქტომბერს დიდი ბრძოლა სწარმოებდა კეგერის მთაზე, რომელიც დაკავებული აქვთ აჯანყებულებს; მთის გარს შემოერტყა წითელ არმიელთა რაზმი, რომელსაც ამ მთის აღებით მიზნათ ჰქონდა დასახული გასულიყო გუნიბის გზაზე და ზურგში მოქცეოდა გუნიბის აჯანყებულებს. სოფ. ჩოხში მოვიდა ბოლშევიკების მიერ გამოგზავნილი პირი, რომელმაც იქაურ წითელ ჯარს დახმარება სთხოვა. დამხმარე რაზმი უკვე გაიგზავნა. შედეგები ჯერ გამოურკვეველია. („ვ. გ.")

ტერორი თერგის ოლქში.

დაღესტანში და საჩეჩნეთში მომხდარ აჯანყებების გამო ბოლშევიკებმა გააძლიერეს ტერორი თერგის ოლქში. კავკავის რევოლიუციონურ ტრიბუნალმა დახვრეტა მიუსაჯა შემდეგ პირებს: ასლან გირეის, ბატირ-ბეგ ყარაჯევს, გაბულისა და ბატი ტაიმაზოვს. განაჩენი უკვე მოიყვანეს სისრულეში. გადაასახლეს არხანგელის გუბერნიაში ბაბა და მუსა ტუგანოვი. ბევრს მიუსაჯეს აგრეთვე 10—15 წლის კატორღა. („ვოლ. გირ.").

სიძვირე დაღესტანში.

სიძვირე დაღესტანში თანდათან იზრდება: გირვანქა თამბაქო ამ ჟამათ 10,000 მან. ღირს; ნაჭერი საპონი 2,000 მან., კარაქი 1500 მ., ასანთი კარობკა 200 მ., ყველი გირ. 400 მ., გირ. პური 300 მ., თაფლი 1000 მ., ერთი ცხვარი 45,000 მ., შაქარი სულ არ იშოვება. („ვ. გ.")

ე. პ. გეგეჭკორი საფრანგეთის მთავრობის სათავმჯდომარე ლეიგთან

სექტემბრის 31-ს, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლეიგმა სადარბაზოთ მიიღო ე. პ. გეგეჭკორი.

ე. პ. გეგეჭკორმა გადასცა ლეიგს წერილი ნოე ჟორდანიასი, რომელშიაც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს ქართველი ერის მეგობრულ გრძნობებს საფრანგეთის რესპუბლიკისადმი და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ საფრანგეთის მთავრობა დაეხმარება საქართველოს რესპუბლიკას თავისუფლებისა და დამოუკიდებელ არსებობისათვის წარმოებულ, მძიმე ბრძოლაში.

ლეიგმა უპასუხა, რომ ის დიდათ მოხარულია, რადგან მას საშუალება ეძლევა კავშირი იქონიოს საფრანგეთის მთავრობის სახელით საქართველოს ნორჩ რესპუბლიკასთან, მით უმეტეს, რომ საფრანგეთი დიდის ინტერესითა და ცხოველი თანაგრძნობით ადევნებს თვალ-ყურს იმ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეს, რომელიც ასეთი ჩინებული წარმატებით მოჰყავს სისრულეში ქართველ ხალხსა და მისი ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას.

საფრანგეთის მთავრობის თამჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა პირადი დამოკიდებულების დამყარება ე. პ. გეგეჭკორთან, რომლის შესახებაც მას დიდი ხანია სასიამოვნო ცნობები აქვს, როგორც მისი მოღვაწეობიდან საქართველოს კეთილდღეობისათვის, აგრეთვე იმ თანაგრძნობიდან, რომელსაც ე. პ. გეგეჭკორი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკისა, იჩენდა ფრანგ მოქალაქეთა მიმართ.

ე. პ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს დახმარებისა საფრანგეთის მთავრობის მხრივ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობის საქმეში, ვინაიდან გარეშე ამ აქტისა წარმოუდგენელია სასურველი კავშირის აღდგენა დასავლეთ ევროპისა და საქართველოს შორის.

ლეიგმა განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი მასში არავითარ რყევასა და ეჭვს არ იწვევს. მიზანი დასახული საქართველოს რესპუბლიკის მიერ უნდა მიღწეულ იქნეს და ამ საქმეში საფრანგეთის მთავრობა გაუწევს მას სრულ დახმარებას. საქ. რესპუბლ. დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობა, ყველა დიდ სახელმწიფოთა მიერ, დაამგვირგვინებს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას საქართველოს საკითხში.

ე. პ. გეგეჭკორმა გულითადი მადლობა გადაუხადა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც ის იჩენს საქართველოსადმი.

მეორე დღეს ე. პ. გეგეჭკორი მიიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა, ბერტელომ, რომელთანაც მას ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა. (სდს).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 1.

ფრანგული ცნობები

ქ. გლაზგომ იშვილა ქ. ვეზია.

საფრანგეთის განადგურებულ ოლქების დამხმარე ბრიტანულ ლიგის პროგრამის თანახმათ ქალაქ გლაზგომ იშვილა ქალ. ვეზიე.

ვრანგელი და საფრანგეთი.

გენ. ვრანგელმა საფრანგეთის უმაღლეს კომისარს საუბარში სხვათა შორის უთხრა: ჩვენ გადავსწყვიტეთ ვიბრძოლოთ ბოლომდის, არა იმიტომ რომ ჩვენ ომის სურვილით ვართ გაჟღენთილი, არამედ იმ მიზნით, რომ განვათავისუფლოთ რუსის ხალხი იმ ტირანიისაგან, რომელიც მას სჩაგრავს და მივცეთ მას საშუალება თავისუფლათ განაგოს თავისი ბედ იღბალიო. გ-ნმა მარტელმა უპასუხა: საფრანგეთმა გადასწყვიტა შეძლების და გვარათ რუსეთს გაუწიოს ყოველგვარი ზნეობრივი და ქონებრივი დახმარებაო,

ფინანსიური კომისიის დადგენილება.

დეპუტატთა პალატის ფინანსიურმა კომისიამ ერთხმად მიიღო ორი დადგენილება: 1) სასურსათო სამინისტროს თანდათანობითი გაუქმება, დარჩება მხოლოდ ფინანსიური ნაწილი (ანგარიშების სალიკვიდაციო) 2) საქონლის გატანასა და შემოტანაზე ყოველგვე დაბრკოლების მოსპობა. ეს მეორე ზომა მიიღეს ეკონომიური ცხოვრების აღორძინების ხელის შესაწყობათ.

გაფიცვები რუმინიაში.

რუმინეთში საერთო გაფიცვები საბოლოოდ დამარცხდა. გაფიცვები მხოლოდ სალითონო ქარხნებში და რკ. გზის სახელოსნოებში, თოფხანაში, გაზისა და ელექტრონის სადგურის ზოგიერთ ნაწილში გატარდა. ახალ პროვინციებში სრულიად არ მომხდარა გაფიცვები, მუშებმა ვერ გაიგეს პოლიტიკური მიზეზები, რომლებიც გაფიცვების გამოცხადების გამომწვევი შეიქნა. რუმინეთის საზოგადოებრივი აზრი კმაყოფილია მთავრობის მიერ მიღებულ ზომებით.

სიმონსის სიტყვა.

სიმონსმა რეიხსტაგში წარმოსთქვა სიტყვა. საფრანგეთის პრესა განსაკუთრებით ხაზს უსვამს მის შემდეგ სიტყვებს: გერმანიის მთავრობამ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას ეროვნული ყრილობის უმეტესობის მოწონებით. რეიხსტაგის მოხსენება გაუკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა. იმ დრომდე, სანამ განადგურებული ოლქები, რომელიც ჩვენ უნდა აღვადგინოთ, არ იქნება აღდგენილი, ევროპის სხეულზე ჭრილობა დარჩება და შური ძიების გრძნობა არ მოისპობა. მაშასადამე, ჩვენი საკუთარი ინტერესები მოითხოვს ეს ჭრილობა დავფაროთ. ამას ის უპირატესობაც ექნება, რომ ამით ჩვენ საქმეს მივცემთ ჩვენს მუშებს და ჩვენს მრეწველობას ბევრ რამეს დავუცავთო, მაგრამ ეს ინტერესები მორალურ ინტერესებთან შედარებით მეორე ხარისხოვანია.

საბერძნეთის ტახტის გარშემო.

ლიუცერნში გრძელდება საბერძნეთის სამეფო ოჯახის და მათ პოლიტიკურ მომხრეთა თათბირი,—სწერს „ტანი", ირწმუნებიან, რომ კონსტანტინეს არავითარი სურვილი არა აქვს, რომ ტახტი თავის შვილს პავლეს დაუთმოს. მტკიცდება, რომ ექს-მეფე არ გამოსთქვამს თავის პირად სურვილებს იმ დრომდის, სანამ ათინის მთავრობა სამეფო გვარის მიმართ ოფიციალურ ნაბიჯებს არ გადადგამს.

ლიონის ცნობები

„ტანის" ცნობით გარეშე საქმეთა სამინისტროს მიუღია ინგლისის ნოტა, იმ საკითხზე, რომლის შესახებაც ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს საფრანგეთისა და ბრიტანეთის შორის.

ბელგიის სოციალისტები და მოსკოვი.

ოქტ. 21 ბელგიის მუშათა პარტიის კონგრესზე მიუღებლად იცნეს მოსკოვის მიერ წამოყენებული პირობები და ბოლშევიკთა პოლიტიკა, რომელიც სოციალისტურ ინტერნაციონალის ძალებს თიშავს. კონგრესმა მეორე ინტერნაციონალის პლატფორმა აღიარა 430 ათასი ხმით, წინააღმდეგ 75 ათასი ხმისა.

ინგლისის მეშალაროეთა რეფერენდუმი.

„პტი პარიზიენის" ცნობით მაღაროში მომუშავეებთან შეთანხმებას მოელოდნენ უბრალო რეფერენდუმით, მაგრამ ცნობებია, რომ მუშები აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გამომუშავებულ პროექტის წინააღმდეგ არიან.

პრინც პავლე და საბერძნეთი.

პრინცმა პავლემ ბერნში მყოფ საბერძნეთის ელჩის მიერ მიცემულ წინადადებაზე ტახტის დაკავების შესახებ უპასუხა: ტახტზე იმ შემთხვევაში ავალ, თუ საბერძნეთის ხალხი განაცხადებს, რომ ის წინააღმდეგი არ არის და არ მაღლებს ყოფილ მეფეს და, რომ იგი არ იცნობს პრინც გიორგის უფლებას ტახტის მემკვიდრეობაზეო.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. ოქტ. 31. როგორი მტრები დარჩა კიდევ საბჭოთა რუსეთს? ვრანგელი მთავარი მტერია, შემდეგ პეტლიურა და სავინკოვი. დასავლეთის ბურჟუაზია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალ საშუალებებს ეძებს. საფრანგეთის გაზეთები ხმა მაღლა აცხადებენ, რომ საფრანგეთი გაზაფხულისთვის რუსეთზე შესატევად ემზადება, მაგრამ მუშები ბურჟუაზიის მიზნებს ყურადღებას არ აქცევენ

ინგლისში გაფიცვა გრძელდება.

ინგლისში ჯერ კიდევ არ დასრულებულა მეშალაროეთა გაფიცვა.

ცუდი შთაბეჭდილება.

საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკებამ პოლონეთთან, ვრანგელის ჯარზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა,

ვრანგელის ჯარების რიცხვი.

პოლონეთის გაზეთები იუწყებიან: რომ ვრანგელის ჯარში 200,000-მდე კაცი ითვლება.

პოლონეთის ოქრო და ვერცხლი.

პოლონეთის ფინანსთა მინისტრმა გრაბსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთს აქვს 35 მილიონი მარკის ოქრო და ვერცხლი.

მუშათა გამარჯვება.

ბრემენში მუშათა გაფიცვები მუშათა გამარჯვებით დასრულდა.

ხმები.

ხმებია, რომ გერმანიაში ვრანგელი თავის წარმომადგენლათ გუჩკოვს ნიშნავსო.

მოხალისეები ვრანგელისათვის.

პოლონეთის ელჩი საფრანგეთის დავალებით გერმანიაში ვრანგელისათვის მოხალისეებს აგროვებს.

პეტლიურა და პოლონეთი.

რუსეთ უკრაინის საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილემ პოლონეთის დელეგაციას გადასცა ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მიუხედავათ ხელშეკრულებისა პეტლიურას ჯარი, რომელიც პოლონეთის ჯარის მთავარ ნაწილს შეადგენს სამხედრო მოქმედებას განაგრძობს. პოლონეთის მთავრობამ კომისიის მოლაპარაკების დროს, პასუხი არ მოგვცა, რომ ის ზომებს მიიღებს, თუ პეტლიურას ნაწილები არ დაემორჩილება. პოლონეთის კომისიამ მიუხედავათ თავისი ვალდებულობისა განაცხადა, რომ პეტლიურას ფრონტის ხაზი არ შედის დროებითი ზავის ხაზში. ოქტ. 24. პოლონეთის წარმომადგენელმა, პოლკ. რ. მოლდოსკულმა, ჩვენ შეკითხვაზე იღებს ხელს პოლონეთის მთავრობა პეტლიურამ ჯარის მოქმედების პასუხისმგებლობაზე გადასწყვიტა თუ არა პეტლიურამ კავშირი პოლონეთის ჯართან, პასუხი არ მოგვცა. პოლონეთის კომისიამ განაცხადა, რომ პეტლიურას ჯარმა არ აღიარა ბრძანებაო, ამიტომ იგი პეტლიურას ჯარის წინააღმდეგ მოქმედებას არ სთვლის დროებითი ზავის დარღვევას. რუსეთი და უკრაინა ვერ დაეთანხმება პოლონეთის სარდლობის განცხადებას. პოლონეთის დელეგაციის მოქმედება ეჭვს იწვევს პოლონეთის გულწრფელობაში და აძნელებს საბოლოო ზავის შეკვრას. საბჭოთა მთავრობა რწმენას გამოსთქვამს, რომ პოლონეთის მთავრობა გადასდგამს ნაბიჯს ომის შესაწყვეტათ.

მოძრაობის შემცირება.

ინგლისში გაფიცვების გამო რკინის გზას მოძრაობა შემცირებულია. მარტო ლივერპულში უნახშირობის გამო 112 გემი სდგას. ინგლისის მრეწველობის ზარალი განუსაზღვრელია.

ირლანდია აღელვებულია.

ლორდ მერ გრაფ კორკის სიმშილით სიკვდილის გამო მთელ ირლანდიაში მღელვარებაა. ინგლისის პარლამენტი მხარს უჭერს ინგლისის მთავრობის მკაცრ ზომებს ირლანდიის წინააღმდეგ. ირლანდიის რესპუბლიკანელები ენერგიული ბრძოლისათვის ემზადებიან.

მე-8 ყრილობა.

მოსკოვი. ოქტ. 30. ს. ა. კ. პრეზიდიუმი იუწყება, რომ დეკემ. 20 ის მოსკოვში დანიშნულია მე 8 ყრილობა სრ. რუსეთის მუშათა, გლეხთა წითელ არმიელთა და ყაზახთა დეპუტატების.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. ოქტ. 30. ბერისლავის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი შეავიწროვა. წამოიყვანა 260 ტყვე. ნიკოპოლის რაიონში ჩვენ 500 ტყვე წამოვიყვანეთ. ორეხოვო-ნოგაისკის მაზრაში უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა მტერი შეავიწროვა და წამოიყვანა 600 ტყვე, ხელთ იგდო 4 ზარბაზანი, 6 ტყვიისმფრქვეველი მრავალი თოფი და სხ.

რას სწერენ საქართველოს შესახებ.

მენშევიკების საქართველომ, რომელმაც ჩვენთან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მას ნება არა აქვს თავის ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის მტრებს ადგილი მისცეს, თავი შეაფარებია ინგლისის ესკადრას, რომელმაც ხელთ იგდო იტალიის გემი.

სამხედრო ცნობა. 30 ოქ. შავი ზღვის პირებზე ჩვენ სკადოვსკი ავიღეთ. პერეკოპის რაიონში ჩვენ ავიღეთ პერეკოპი და მის სამხრეთით ვიბრძვით. ბორისლავის რაიონში ბრძოლაა. ნიკოპოლის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიკავეთ. ჩვენმა ჯარმა მელიტოპოლი აიღო. მელიტოპოლის ჩრდილოეთით ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ 39 ოფიცერი 320 ჯარის კაცი, ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო მასალა.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ბურცევი ვრანგელთან იგზავნება.

თფილისი ნოემბრის 1. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით ევროპიდან საგანგებოთ იგზავნება ვ. ბურცევი ვრანგელთან მოსალაპარაკებლათ საქართველოს და სხვა ახალ სახელმწიფოთა შესახებ. ვრანგელთან მოლაპარაკების შემდეგ იგი გაემგზავრება ამერიკას. მას დავალებული აქვს შეადგინოს იქ კომიტეტები, რომლებიც იმუშავებს ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოთა საქმის ჩასაშლელად.

ქემალ-ფაშა და ჩიჩერინი.

სტამბოლი. სომხური გაზეთი „ჯაგადამარტი" აქვეყნებს ჩიჩერინისადმი მიწერილ ქემალ-ფაშის წერილს. ჩვენ დიდი სიამოვნებით მივიღებთ მხედველობაში რუსეთის გარეშე საქმეთა კომისრის მიმართვას ანგორის ეროვნულ კრებისადმი. ამასთანავე თავს ნებას ვაძლევთ შევეხოთ შემდეგს: 1) ჩვენ იარაღი ავიღეთ ხელში იმ მოსაზრებით, რომ ანტანტამ ოსმალეთის მიმართ ერთა თვითგამორკვევის უფლება უარყო. 2) სიამოვნებით ვღებულობთ რუსეთის შუამავლობას სპარსეთთან და სომხეთთან საზღვრების საკითხში და ჩვენის მხრით შემდეგს ვთხოულობთ: 3) ანტანტის გეგმების დასაშლელად საჭიროთ მიგვაჩნია რომ ჩვენმა ჯარმა დაიკავოს ყარსი და სხვა ოლქები. მივიღეთ თქვენი წერილი და ჩვენ ამ გეგმის ძალით შესრულებაზე დროებით უარი ვსთქვით. გთხოვთ იქონიოთ სომხეთზე გავლენა, რომ იმათ ოსმალეთზე თავდასხმა შესწყვიტონ. 4. რუსეთის მთავრობასთან დანიშნული ჩვენი დელეგატები უკვე გაემგზავრენ. იმათ მიეცათ მანდატი საბჭოთა რუსეთთან კეთილ მეზობლურ დამოკიდებულების დასამყარებლად.

უმუშევრობა

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება ინგლისში უმუშევრობის გაძლიერების შესახებ. უმუშევრობა საშიშ სახეს ღებულობს. უმუშევრობა გამოწვეულია მრეწველობაში გამეფებულ კრიზისით.

ინგლის-გერმანიის სავაჭრო ურთიერთობა

„დეილი ტელეგრაფი" იუწყება: გერმანელი მრეწველები ყოველ ზომას ღებულობენ ინგლისთან სამრეწველო დამოკიდებულების აღსადგენათ. ინგლისის და გერმანიის კერძო ფირმებმა უკვე დაიწყეს სამისო მოლაპარაკება. ინგლისის პრესა შეშფოთებულია იმით, რომ გერმანელები თავის საქონელს იაფ ფასებში იძლევიან: გერმანიის საქონელი ინგლისს ბაზარზე ორჯერ უფრო იაფად გაიყიდება, ვიდრე ინგლისისაო.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **პროექტი ბიუჯეტისა.** ფინანსთა სამინისტრომ შეიტანა დამფუძნებელ კრებაში 1920—21°/. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის პროექტი.

◆ **მუშათა მაგიდა.** თფილისში ამ ჟამად ურიგებს პურს და სხვა სანოვაგეს მომარაგების ფონდიდან 26.800 მუშასა და მოსამსახურეს, სულ იგი 64.841 ულუფას არიგებს.

◆ **ყრილობის დასრულება.** 30 ოქტ. დასრულდა სახალხო გვარდიის ყრილობა, მთავარ შტაბში აირჩიეს: ვ. ჯუღელი, ალ. დგებუაძე, ვ. ჯიბლაძე, ა. ჭიაბრიშვილი, ა. სალუქვაძე, დ. სულიაშვილი, რ. აუშტროვი, ი. რუხაძე, ს. ფარნიევი, ე. სირბილაძე, ი. ქარცივაძე, ს. ფარქოსაძე, მ. ვარდოიანი, გ. ძაგანაშვილი, თ. შენგელია, ნ. კახიანი, ვ. გოგიშვილი, ი. ხარაშე, შ. დგებუაძე, გლახოიანი და გ. ფაღავა.

◆ **ქართული დრამა.** სახელმწიფო დრამის თეატრში დღეს ხელმეორეთ წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის პიესები: „დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება". ახალი დეკორაციებით, ტანისამოსითა და მიზანსცენებით. დასდგამს რეჟისორი აკაკი ფაღავა.

◆ **სახელმწიფო ოპერის თეატრი.** დღეს წარმოდგენილ იქნება „ქეთო და კოტე".

◆ **სააგარაკო საქმე.** სამკურნალო სასანიტარო ნაწილის უფროსმა აღძრა შუამდგომლობა სურამის სასანიტარო სადგურის ელექტრონით განათების შესახებ. გზათა უწყების დეპარტამენტმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

◆ **ხახვი.** მუშათა მაგიდამ მიიღო 3 ვაგონი ხახვი. 500 ფუთი ხახვი გადაეცა ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთათვის დასარიგებლად, დანარჩენი ხახვი მუშათა მაგიდის საწყობში ინახება და ახლო მომავალში დაურიგდება მუშა-მოსამსახურეთ ოჯახზე ½ ფუთი. ახლო ხანში კიდევ მოელიან რამოდენიმე ვაგონ ხახვს.

◆ **რესპუბლიკის საავადმყოფოები.** მთავრობამ ოქტ. 21 სხდომაზე დაადგინა მიხეილის საავადმყოფოს ამიერიდან დაერქვას რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო. ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტს კი რესპუბლიკის საბებიო ინსტიტუტი.

◆ **სახელმწიფოს შემოსავალი.** ფინანსთა სამინისტროს ცნობით სექტემბერში სახელმწიფოს შემოსავალი ყოფილა 273 894.495 მანეთი, აქედან პირდაპირი გადასახადი ყოფილა 13.040.770 მანეთი, არაპირდაპირი 231.011.827 მან. საბაჟოებიდან 29.841.895 მ. აგვისტოსთან შედარებით შემოსავალმა მოიმატა 119.628 505 მანეთი. კერძოთ მეტად გადიდდა შემოსავალი პირდაპირი გადასახადისაგან.

კრებები.

დღეს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება მარქსისტ სტუდენტთა ფილოსოფიური წრის პირველი კრება.

— ოთხშაბათს, ნოემბრის 3, საღამოს 6 საათზე ქალთა პირველ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია: 1) მოხსენება კონფერენციის დადგენილების შესახებ, 2) თბ. ყველა ტიპის სასწავლებელთა მასწავლ. კავშირების გაერთიანება, 3) ანგარიში გამგეობის შესახებ სარევიზიო კომისიის დასკვნით.

— შაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 5 ს. მუშათა სასახლეში თფილისის მზარეულთა პროფ. კავშირის გამგეობა იწვევს თფილისის მზარეულთა საერთო კრებას.

— დღეს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის, თფილისის კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის და საავათმყოფო კასის გამგეობის გაერთიანებული სხდომა. დღის წესრიგი: 1. დაზღვევის პროექტის განხილვა, 2. შრომის ბირჟის პროექტი, 3. კომისიების მოხსენებები და სხვა.

მოგვაქციეთ ყურადღება!

სამოცდა ათიან წლებში რომ გერმანიამ საფრანგეთი დაამარცხა, ხშირად იმეორებდენ მაშინდელ გამოჩენილ გერმანელ მხედართმთავრის სიტყვებს: „საფრანგეთი დაამარცხა გერმანიის სახალხო მასწავლებლებმაო".

დიდი გერმანიისა და პაწაწა საქართველოს სახალხო სკოლისა და მასწავლებლის შედარება თითქოს სასაცილოთაც ჩაითვლება. მაგრამ სამართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ თუ ჩვენმა პაწაწა ქვეყანამ დღემდე სული შეინახა და სწორ გზაზე დადგომა შესძლო, თუ ჩვენი ხალხის პოლიტიკური შეგნება და შედარებით ფხიზელი მოქმედება დღეს ყველასგან ცნობილია, ამაში თავისი უცილობელი წვლილი ჩვენ სახალხო სკოლასა და მის მასწავლებელსაც აქვთ შეტანილი.

პირველ ხანებში მეტად მცირე იყო სახალხო სკოლებისა და მასწავლებლების რიცხვი. მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ვერ უძლებდა ზნეობრივსა და მატერიალურ გაჭირვებას, სტოვებდა და მიეშურებოდა სხვა სამსახურში. სასულიეროდ—ფეხს იკიდებდა ან სუდში, ან პოლიციაში — სკოლაში რჩებოდა მხოლოდ იდეიით და საქმის სიყვარულით გატაცებული მასწავლებელი. ძველ მასწავლებელთა ეს მცირე ნაწილი ბოლომდე შერჩა სკოლას, შეაბერდა მას და სწავლებით შეალია მთელი თავისი ძალ-ღონე, ემსახურა სახალხო განათლების საქმეს 30, 35—40 წელი!

ახლანდელი მასწავლებელი ვერც კი წარმოიდგენს, თუ რამდენად მძიმე იყო მაშინდელი სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა! გულახდილით ვიტყვით, რომ დღევანდელი მასწავლებლების მიერ გაფიცვის მუქარა ჯამაგირების სიმცირის გამო მაშინდელ მასწავლებელს სასაცილოთ და საოცრათ მოეჩვენებოდა...

მასწავლებლის მოვალეობა მაშინ მარტო სკოლის კედლებით არ განისაზღვრებოდა. მასწავლებელთა უკეთესი ნაწილი მთელ თავის დროს გაკვეთილების შემდეგ ხალხის სამსახურში ატარებდა: დიდებსაც ასწავლიდა წ. კ., უკითხავდა პოპულიარულ წიგნებს, ებაასებოდა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, ებრძოდა სოფლის ცრუმორწმუნეობას, და ამნაირათ ნელნელა შეჰქონდა ხალხში ცოტაოდენი მაინც შეგნება-განვითარება. მასწავლებელი ხშირად პოლიტიკური მებრძოლიც იყო, ხალხის ინტერესების დამცველი—ვექილიც იყო, ის ექიმის მაგიერობასაც ხშირად ეწეოდა, ერთი სიტყვით მასწავლებელი მაშინ იყო ერთად-ერთი უანგარო მოღვაწე— ხალხში. ამასთან იგი საბოლოოთ მოელოდა სიმშილს და გაჭირვებას, რადგან მაშინდელი მთავრობის იმედი არაფერში არ ჰქონია, ვინაიდან მთავრობა ნაკლებად ზრუნავდა სახალხო მასწავლებლის კეთილდღეობისათვის. მხოლოდ 1905 წლის შემდეგ მიაქცია ყურადღება რუსეთის მაშინდელმა განათლების სამინისტრომ სახალხო მასწავლებლის მდგომარეობას და 1911 წელში დაკანონდა ამათთვის 3 ნაირი დანიშნვა. პენსიის რაოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენი ხნის ნამსახური და რა ხნოვანებისა იყო მასწავლებელი. მაგალითად, 42 წლის ნამსახურ მასწავლებელს, რომელიც თვითონ 65 წლისა იყო, დაენიშნა თვეში 63 მანეთი კაპეიკებით. 36 წლის ნამსახურს 58 წლის

ქართული თეატრი

(„დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება"—დ. კლდიაშვილისა).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ახალი დასის მეთაურთა მიერ გამოქვეყნებული სანიმუშო რეპერტუარი იმის მაუწყებელია, რომ ჩვენი თეატრის მესვეურნი ორ წყაროს ეწაფებიან—**კლასიკურს და ეროვნულს.** ეს გარემოება სრულს იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი თეატრი თავიდანვე სწორ გზაზე დამდგარა. სამწუხაროდ, იგი ამ ხაზს მტკიცეთ არ ატარებს, იმისთანა პიესის დადგმა, როგორიც არის „სიცრუე" ჩვენ მიგვაჩნია თეატრის შეცდარ ნახტომათ, რადგან ეს პიესა არაფერს აძლევს არც მაყურებლების გონებას, არც მისს გრძნობას, არც მისს ესტეტიკას. იგი არც დასის მუშაობისათვის არის სახარბიელო და საყურადღებო. სამაგიეროთ უკანასკნელი პრემიერა (კლდიაშვილის პიესები—„დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება") ნათელ ფურცლად უნდა ჩაითვალოს ჩვენი განახლებული სცენის მოღვაწეობაში.

ქართული ეროვნული პიესები აქამდის უფრო ქართლ-კახეთის ყოფა ცხოვრებიდან იყო აღებული. ისინი ერთი შაბლონით იწერებოდა: უთუოდ უსაქმო თავადიშვილი, უთუოდ გაიძვერა ლომეხი, რომელიც თავადიშვილს ოსტატურად ატყუებს და მისს მამულს ხელში იგდებს; უთუოდ „თერგდალეული", მეოცნებე, სინამდვილესთან დაშორებული ინტელიგენტი და სხ. თავის დროზე ამ თემას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საზოგადო სარბიელზე დემოკრატია გამოვიდა, საჭირო გახდა სხვა სიუჟეტის პიესები, სხვა ტრადიციების შექმნა დრამატიული ნაწარმოებისათვის. ამ ახალი ტრადიციის შესაქმნელად უფრო მოხერხებული იყო, რომ პიესის შინაარსი აღებული ყოფილიყო არა ქართლ-კახეთის, არამედ სწორეთ იმერეთის ცხოვრებიდან, რადგან, ჯერ ერთი, ეს ცხოვრება აქამდის არ ყოფილა გამოყენებული საქმეში და ახალი მასალით უფრო ადვილია ახალი ტრადიციის შექმნა; მეორე, დემოკრატიული მოძრაობის სათავეში ლიხს-იქითა მხარე უდგია. და გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი საუკეთესო, ყოფა-ცხოვრების გამომხატველი პიესები სწორეთ იმერეთის ცხოვრებიდანაა აღებული. კლდიაშვილის პიესებს მათ შორის პირველი ადგილი უჭირავთ ხელოვნების მხრივ. აი ამიტომ გვახარებს ჩვენ ამ პიესების დადგმა ქართულ სცენაზე მის მუშაობის დასაწყისშივე.

რაც შეეხება პიესების შესრულებას, დარწმუნებული ვართ, რომ მაყურებლები ერთნაირად დაკმაყოფილებულნი არ დარჩნენ პირველის და მეორე პიესით. „დარისპანის გასაჭირი"-ს შესრულებას არ ეტყობოდა იმდენი შრომა და მეცადინეობა, როგორც „ირინეს ბედნიერებას". პირველი პიესის წარმოდგენაში ჩვენ ვერ დავინახეთ ის „ახალი სიო", რომელიც უეჭველად იგრძნეს მაყურებლებმა „გუშინდელნი"-ს, „ოიდიპოს მეფის" და „ირინეს ბედნიერების" შესრულების დროს („სიცრუე", რა თქმა უნდა, მათ რიცხვში არ შედის და რაც უფრო მალე მოიხსნება სცენიდან, მით უკეთესი იქნება) „დარისპანის გასაჭირი" დაიდგა ისე, როგორც იდგმებოდა იგივე პიესა შარშან, შარშანწინ, ათი წლის წინეთ. ეს პიესა ჩვენ ბევრათ უკეთესად დადგმულიც კი გვინახავს, ვიდრე განახლებულ სცენაზე. მთავარი ნაკლი, რომლის დასაძლევათაც მოწოდებულია ახალი სცენა და რომელიც თვალსაჩინოდ გამეფებული იყო აქამდის, იმაში მდგომარეობს, რომ ძველ სცენიურ ხელოვნებაში პიესის შესრულების დროს პირველი ადგილი დათმობილი აქვს ლაპარაკს და არა თამაშს: მსახიობები გამოდიან და მაყურებელთა წინაშე იმეორებენ, ავტორის მიერ დაწერილ სიტყვებს. **ცხოვრება** სცენაზე ძალიან ნაკლებათ ჩანს, რადგან ნამდვილ ცხოვრებაში ჯერ შეხვდებით მარტო ლაპარაკს, ლაპარაკი იქ ხდება ცხოვრების სხვადასხვა წვრილმანებს შორის, რომელნიც დრამატიული ნაწარმოების ფონს შეადგენენ. ჩვენ სცენას აქამდის მაყურებლისათვის ჯერ არ უჩვენებია პიესის ისეთი დადგმა, სადაც დრამატურგის მიერ დაწერილი სიტყვების წარმოთქმა ცხოვრების ჩარჩოებში ხდებოდეს. რომ ამნაირი შთაბეჭდილების შექმნა არ არის მიუხწეველი, ეს დაგვიმტკიცა მოსკოვის სახელოვანი თეატრის მთელმა მოღვაწეობამ. რომ ეს ჩვენთვისაც არ არის მიუხწეველი, ამის იმედს გვაძლევს ჩვენი ახალი თეატრის პირველი ნაბიჯები. მხოლოდ ამ შთაბეჭდილების მისაღწევათ საჭიროა ბევრით უფრო მეტი შრომა, ვიდრე ძველი ჩვენი სცენა ხარჯავდა დრამატიული ნაწარმოების დადგმაზე, და ბევრათ უფრო მეტი მეცადინეობა დასის მხრივ. „დარისპანის გასაჭირმა" იმიტომ ვერ დასტოვა ის თანადი შთაბეჭდილება, რომ მას არ ეტყობოდა ასეთი შრომა და მეცადინეობა.

სამაგიეროთ „ირინეს ბედნიერებით" აინაზღაურეს მაყურებლებმა ის, რაც მათ დააკლდათ „დარისპანის გასაჭირით". ზოგიერთი სცენები რომ არ ჩავაგდოთ სათვალავში, აქ მაყურებლების წინაშე გადაიშალა ნამდვილი ცხოვრება, მისი მრავალფეროვანებით და წვრილმანებით. ამ ცხოვრებას მხოლოდ ერთი (მართალია, მნიშვნელოვანი) მომენტი იყო ირინეს დრამა. ამიტომ დრამამ მაყურებელზე **ნამდვილ** ძლიერებით იმოქმედა და მისგან დატოვებული ესთეტიური შთაბეჭდილება თვალსაჩინო გამოდგა. მომავალში, უეჭველია, ამ პიესის წარმოდგენას უფრო და უფრო გააშალაშინებენ და მას აიყვანენ ნამდვილ მხატვრულ სიმაღლემდე. „ირინეს ბედნიერების" წარმოდგენა, რაც შეიძლება ხშირად უნდა განმეორდეს ჩვენს სცენაზე, რადგან იგი საუკეთესო მასალას იძლევა როგორც ჩვენი სცენიური ხელოვნების მაღლა აწევისათვის, ისე ჩვენი საზოგადოების ესთეტიური გემოვნების განვითარებისათვის. მხოლოდ საჭიროა, რომ „დარისპანის გასაჭირი", რომელიც, როგორც დრამატიული ნაწარმოები, არ ჩამოუვარდება „ირინეს ბედნიერებას", ისეთივე შრომის მოყვარეობით დაიდგას, როგორც მეორე პიესა.

მაყურებელთა რიცხვის სიმრავლე წარმოდგენაზე იმის მაჩვენებელია, რომ ქართული საზოგადოება სწორეთ ამნაირ პიესებს ეტანება. ეს მხოლოდ სასიხარულოა და ჩვენმა თეატრმაც ამას უნდა ანგარიში გაუწიოს.

ლ. ნათაძე

მასწავლებელს—31 მან. კაპეიკებით და სხვა...

რევოლიუციის დაწყების წელს, კერენსკის მინისტრათ ყოფნის დროს ეს პენსია გადიდებულ იქნა 20°/₀-ით.

საერთოთ პენსიის რაოდენობა იმდენათ საკმარისი იყო იმ დროს, რომ მასწავლებლები დიდი აღტაცებით მიეგებენ მის დანიშვნას და გულწრფელად ულოცავდნენ ერთმანეთს ასეთ მოულოდნელ ბედნიერებას... ხუმრობა ხომ არ იყო: სიმშილით სიკვდილის თავიდან აცდენა!..

გავიდა მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი და ეს მაშინ საკმარისი პენსია სასაცილო რამეთ გადაიქცა: გასულ წელში 84 მანეთი თვიური პენსია აღარც 84 კაპეიკს უდრიდა! ხოლო ამ წლის პირველი იანვრიდან ამ კაპეიკების მიღებაც შეწყდა: საპენსიო წიგნები ხაზინაში დაიტოვეს—ახალი წესდება უნდა შემუშავდეს და გვესაჭიროებაო ამ ნაირით აგერ ათი თვე სრულდება, რაც **ყოფილი მასწავლებლები მოკლებულნი არიან არსებობის ყოველსავე წყაროს.**

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რატომ არ მიმართეს მათ ეგრეთ წოდებულ—„სოციალურ დახმარებას" იყო კიდეც შემთხვევა, რომ შეეცადნენ ამ დაწესებულებისათვის მიემართათ, მაგრამ იქ ისეთი პირობები მოითხოვეს, რომლის შესრულება შეუძლებელი იყო: უნდა წარედგინათ ფორმულიარი, ნამსახურების სია და სხვა ბევრი მოწმობები, რომელიც უწინდელი მთავრობის კანცელარიაში ჩარჩენილი და იმათ ნაცვლათ მასწავლებელს საპენსიო წიგნაკი ქონდა ხელში (დღეს ისიც ხაზინაში ჩაიტოვეს), გარდა ამისა, ეს „სოც. დახმარება" მასწავლებლებს დამცირებათ მიაჩნია, რადგან იგი ერთნაირ სამოწყალოს წარმოადგენს, სამოწყალოს თხოვნის ნაჩვევი კი ჩვენ არა ვართ და მათხოვრობას ვერ ვიკადრებთ) რაც უნდა ძალიან გვიჭირდეს.

აქამდის ვდუმდით იმიტომ, რომ სასირცხოთ მიგვაჩნდა პირად გაჭირვებაზე ლაპარაკი, იმ დროს, როცა მთავრობას წინ ედო ისეთი დიდი საქმე, როგორიც არის სახელმწიფოს აღშენებლობა. დღეს კი, როცა ცხოვრება ისე გაჭირდა, რომ დახელოვნებულ სპეკულიანტებს გარდა ყველა სიმშილსა და წყურვილს განიცდის, ჩვენც ხმა უნდა ამოვიღოთ და თამამათ მოვითხოვოთ ვისაც ჯერ არს: ახლა მაინც მიაქციონ ყურადღება, სასწრაფოთ მოათავონ ჩვენი პენსიის საკითხის გადაჭრა. დროებით დახმარებას, მოწყალებას კი არ ვითხოვთ, მოვითხოვთ იმას, რაც დავიმსახურებია და გვეძლეოდა კიდეც. მოვითხოვთ მოგვცენ სასწრაფოდ ამ წლის სარჩო ჩვენი პენსიის ახლანდელ ღირებულების მიხედვით.

შესაძლებელია ერთი-ორი ძველ მასწავლებელთაგანი დღესაც აგრძელებს მუშაობას და თავის შრომით არსებობას, ხოლო უმეტესობა უკვე ღრმა მოხუცებულებაში შესული, მოკლებულია შრომის შეძლებას, არიან ისეთებიც, რომელთაც უკურნებელი სენის გამო მოძრაობაც კი არ ძალუძთ.

მთელი ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დამამცირებელი იქნება თუ დამსახურებული სახალხო მასწავლებლების ეხლანდელმა მდგომარეობამ არ მიიპყრო მთავრობისა და დამფუძნებელი კრების ყურადღება და სათანადო ზომების მიღება არ გამოიწვია.

ყოფილი მასწავლებელი.

უცხოეთი

საფრანგეთი.

გამოფხიზლება.

ცხრა პირობამ, რომელიც ლენინმა წარუდგინა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას, სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია მოსკოვის გუშინდელ თაყვანისმცემლებისაგან.

ლონგე[illegible], შემდეგ ფროსმა გაზეთ „პოპიულერ"-ში მოწინავე უძღვნა ამ პირობებს. ფრო სწერს: „ახალი სული, რომლითაც ანარხო-კომუნისტური მოსკოვის ინტერნაციონალი ჰცდილობს გაჟღინთოს დასავლეთ ევროპის სოციალისტური პარტია, სცნობს თუ არა ის თავის გამოხატულებას ამ ცხრა მუხლებში და მის კომენტარიებში ან „კომუნისტურ ბიულეტენის" თვრამეტ პარაგრაფში, ყოველთვის დარჩება იმათ, რაც არის ის: რაღაც სულ განსხვავებულათ იმ იდეებისაგან, რომელიც სულის ჩამდგმელი იყო ჩვენი პარტიის იმ დროს, როცა მაში ბატონობდნენ ჟორესისა და გედის გავლენა".

გადადის რა მოსკოვის პირობების მუხლობრივ გარჩევაზე, ეჟანი ფრო ამტკიცებს, რომ თუ პარტია მიიღებს ამ პირობებს, მან სინდიკატებში უმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა აწარმოოს. „თუ ჩვენ მოსკოვის მოთხოვნილების წინაშე ქედს მოვიხრით, ჩვენ სინდიკატებს შიგნით უნდა შევქმნათ კომუნისტური „იაჩეიკები", რომლის მიზანია ყოველ მოხერხებულ დროს სახელი გაუტეხონ იმ ხალხს, რომელნიც სათავეში უდგანან პროლეტარიატის ეკონომიურ ორგანიზაციას, რომელშიც საფრანგეთის პროფესიონალურად შეკავშირებულ მუშების დიდი უმრავლესობის ნდობით არიან აღჭურვილნი. ესეც ცოტაა, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმის სასარგებლოთ, რომ შრომის საერთაშორისო კონფედერაცია ჩამოვაცილოთ ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალს, ე. ი. უნდა ვიმუშაოთ საერთაშორისო პროლეტარიატის ძალის დასანაწილებლათ." ამ რიგათ, პარტიამ, იმის მაგივრათ რომ შეაიარაღოს მუშათა კლასი სოციალიზმის გასამარჯვებლათ ყოველგვარ საჭირო საგნებით, „უნდა აწარმოვოს ბრძოლა არა ბურჟუაზიის, არამედ მუშათა წინააღმდეგ, რომელიც შეკავშირებულია სინდიკატებში იმ მიზეზით, რომ საფრანგეთის ეხლანდელი პროფესიონალური მოძრაობა არ არის მოწონებული მესამე ინტერნაციონალის მიერ. ყველა ამაზე სოციალისტურ პარტიამ ყოველგვარ მერყეობის გარეშე უარყოფით უნდა უპასუხოს კითხვას მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ".

შვეცია.

პარლამენტის არჩევნების შედეგები.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში სტორტინგში არჩევნები შემდეგი შედეგებით დამთავრდა: კონსერვატორებმა გაიყვანეს 48 დეპუტატი (მოიგეს 11 ადგილი), აგრარიებმა 4, გლეხთა კავშირმა 11 (მოიგეს 6 ადგილი), ლიბერალებმა 29 (დაკარგეს 13 ადგილი), სოციალ-დემოკრატებმა 61 (დაჰკარგეს 5 ადგილი), მემარცხენე სოციალისტებმა 1 დეპუტატი (დაჰკარგეს 3 ადგილი).

წიგნების გამომცემელთა საყურადღებოდ

მიუხედავათ ქაღალდის საშიშარი კრიზისისა, საბედნიეროთ წიგნები მაინც ბლომათ ისტამბება. თუმცა სასიამოვნოა ეს მოვლენა, მაგრამ ამავე დროს გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ უპირველეს ყოვლისა „დედა-ენა" უნდა ყოფილიყო იმდენი, რომ ასთავებოდა მოსწავლე ახალგაზრდობას... მაგრამ ჩვენ ამაზე ახლა არ შევჩერდებით—ჩემი წერილის მიზანი სულ სხვა სხვაა და აი რა: ცენზურის დროს გამოცემულ რჩეულ მწერალთა რჩეულ ნაწერებს ბევრი რამ აკლია, ბევრ თავები სულ გამოტოვებულია, ბევრ ადგილს კი მხოლოდ ბევრის მოლოდინი მრავალი წერტილებია დარაზმული. ასეთია, მაგალითად, ყაზბეგის „ელგუჯა" და გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი", ორივეს რამოდენიმე თავი აკლია. მე წამიკითხავს „ელგუჯა" სრული (გამოცემის შემდეგ დაიჭირეს), შეუძლებელია სადმე არ მოიპოვებოდეს მწერალთა სრული ნაწარმოები, რომელთაც ჯალათი ცენზორი არ მიკარებია, აი ეს უნდა მიიღონ სახეში გამომცემლებმა და მადლთან მარილიც მოაყარონ, და როცა შეუდგებიან რომელიმე მწერლის ნაწარმოების გამოცემას, გამოსცენ სრული და არა შეკვეცილი.

აპ. წულაძე.

მონოპოლია მატყლზე და ჩვენი მეცხვარეობის მდგომარეობა *)

„ერთობის" № 239-ში მოთავსებულია „ი. ყ."-ს ხელმოწერილი პასუხი ჩვენს პირველ წერილზე.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი წერილი, გამოიწვევდა მხოლოდ ამხანაგურ კამათს, რომლის დროსაც მოკამათენი ერთმანეთს ნდობით და პატივისცემით ეპყრობიან და დამშვიდებით მიუთითებენ საერთო თუ ერთი მეორის შეცდომაზე. ამიტომაც არ მოველოდით, რომ სერიოზული ადამიანი ასეთ საჭირ-ბოროტო საკითხში მოკამათეს—პოლიტიკურ თანამოაზრეს—მხოლოდ „ბურჟუობის" დაწამებით მოიცილებდა თავიდან. ჩვენ მოველოდით დაკვირვებულს, სამართლის გაგების სურვილით გამსჭვალულ წერილს.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. წერილის ავტორი ღელავს, ჯავრობს; სწორედ არ მოჰყავს ჩვენი აზრი, ამახინჯებს ჩვენ ციტატებს. ძალა უნებურათ მაგონდება ძველის-ძველი თქმულება: „იუპიტერო, შენ ჯავრობ, მაშასადამე დამნაშავე ხარ!" ასეც უნდა იყოს: ი. ყ. რომელსაც საქმესთან ახლო კავშირი ჰქონია და ახლა, რათაც უნდა დაუჯდეს თავის გამართლება დასჭირებია. მაგრამ როდესაც ადამიანი ასეთი ზრახვებით მოეკიდება დიდი საქმის გარჩევას, რა თქმა უნდა, ბევრ შეუსაბამობას იტყვის.

ი. ყ. ჯავრობს, რატომ არაფერს არ ამბობს გ. ც—შვილი ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა გაჭირვებაზე-ო. დალოცვილო, მთელი პრესა, საზოგადოება და თვით მუშა მოსამსახურენიც ყოველ-დღე ლაპარაკობენ ამაზე და რაღა ჩემი დაცვა დასჭირდათ მათ, მით უმეტეს, რომ ამაზე არც დავობს არავინ, და თუ მე მიუხედავათ იმისა, რომ ცხვარი არასოდეს არ მყოლია, (თუნდაც მყავდეს, მერე რა?) მაინც გავბედე და ყველასაგან მივიწყებულ მთიელ-მწარმოებლების სასარგებლოთ ხმა ამოვიღე, განა ეს დანაშაულია? ან და განა, მე, პირველად ყოვლისა, თვით მეცხვარეობას, როგორც სახელმწიფო მეურნეობის დარგს, არ ვიცავდი? სახელმწიფო ინტერესების დაცვა მარტო თქვენ მონოპოლიას ხომ არ შეადგენს?

არა, პატივცემულო ი. ყ., თქვენ სწორედ არ მსჯელობთ. კიდევ კარგი, რომ თქვენ მშრალ ციფრებს მაინც არ უარყოფთ, თუმცა აქაც არევ-დარევაა და, თქვენებურათ ამუქებთ:

1) მართალია, შერეულ კომისიაში მწარმოებელთა წარმომადგენლები მატყლის თვით ღირებულებას ფუთზე 2300 მან. ანგარიშობდნენ და მათ შემდეგ 2000 მან. მიეცათ; მაგრამ, **ეს ხომ გაზაფხულის ფასების დაკვალობაზე იყო ნაანგარიშევი და აქ არც თვით მეცხვარის შრომა და ოჯახის შენახვის ხარჯი არ შედიოდა** (იხ. კ—სიის ოქმები) ასეც რომ არ იყოს, ეს 2000 მ. ხომ უკვე მიღებული და ზაფხულშივე თვით საქმეზე დახარჯულია და როდის მიიღებენ მწარმოებლნი დაპირებულ 540 მ. (და არა 600-ს; იხ. პირობა „მწყემს"-თან), ეს ხომ ჯერ არც თქვენ იცით, ვინაიდან თითქმის მთელი მატყლი ჯერ ისევ „მწყემს"-ის საწყობებშია **) გეკითხებით, ი. ყ.-ო, იმ დროსთან შედარებით, რამდენად გაძვირდა და მომავალ ზამთრისთვის კიდევაც გაძვირდება ცხოვრება და მაშასადამე წარმოების ხარჯებიც?

2) პატივცემული ი. ყ. რომ საზოგადოთ გაცნობილი ყოფილიყო ამ საქმესთან, მას ეცოდინებოდა, რომ ჩვენი ეხლანდელი წვრილი და საშუალო მეცხვარეები ყავლიან 200—400 ცხვარს (ამაზე მეტის მყოლი მხოლოდ ათეულებია) თუ ეს ასეა, მეგობარო ი. ყ., აი რა ბედი ეწვევათ მათ **თქვენივე ანგარიშის თანახმად:** თქვენ გაბრაზებით გვეკითხებით, რომელ მუშა-მოსამსახურესა აქვს წელიწადში 120 ათასი მანეთი, რასაც 200 ცხვრის პატრონი იღებს-ო. ჯერ ერთი რომ შეიძლება 2—3 თვის შემდეგ ასეთი ჯამაგირი მათ ექნეთ (როცა მწარმოებელს მხოლოდ ხარჯები მოემატება და სარეალიზაციო კი არაფერი ექნება); მეორე კი ის, რომ თქვენ, ალბათ „შემთხვევით დაგავიწყდათ", რომ ჩვენ, მუშა-მოსამსახურენი, ვიღებთ ოჯახის სულზე დღეში თითო გირვანქა პურს 6 მანეთად; მეცხვარე კი, რომელსაც თვით მომარაგ. სამ-ოს ანგარიშით სულზე თვეში 2 ფუთი უნდება (იხ. კ-სსიის ოქმები) და რომელიც თავის ოჯახში გირვანქობით ჭამას ვერ დააწესებს, იხდის სოფლად 1 ფუთ ხორბალში 2000 მანეთს (იხ. მომარ. სამ-ოს მოხსენება ეკონომიურ თათბირზე); იანგარიშეთ მის ოჯახში 5 სული (თუმცა ნამდვილად მთიელების ოჯახები უფრო დიდია) და მიიღებთ, რომ წელიწადში მას, თქვენი ანგარიშით სჭირდება 120 ფ. ხორბალი 240 ათას მანეთად ღირებული. **თუნდაც ამის ნახევარი რომ ვიანგარიშოთ,** მაინც რა უნდა ქნას 200—300 ცხვრის პატრონმა, თუ კი მას თქვენებურად ნაანგარიშევი შემოსავალი პურისთვისაც არ ყოფნის? მაშ რით უნდა გაუძლვეს იგი მომავალ ზამთარ-გაზაფხულის საოჯახო და სამეურნეო ხარჯებს? თუ კი ის მატყლში არაფერს აღარ მიიღებს, ამ ხარჯებს ხომ ვერ დაჰფარავს მარტო საკლავი საქონლის შემოსავალი, რომელიც არც ისეთი დიდია, როგორც ი. ყ-ს ჰგონია, რადგანაც ფასები ქალაქებში დაწესებულ ნიხრის მიზეზებით მეცხვარეს ნამდვილ ფასს არ აძლევენ.

მაშასადამე, სწორედ ი. ყ-ს ანგარიშით იჩაგრება მთელი ჩვენი წვრილი მეცხვარეობა, რომელიც თუ პირობები არ შეიცვალა, **იძულებული გახდება ხაზინის (დედალი) ცხვარის ნაწილი მაინც გაჰყიდოს;** ამის მყიდველი კი იქნება ან ყასაბი, ან უკეთეს შემთხვევაში (პირუტყვი მაინც გადარჩება), მსხვილი მეცხვარე-კაპიტალისტი, რომელიც ი. ყ სიბურად გატარებულ მონოპოლიისაგან არც იმდენს იზარალებს და შეიძლება მოიგოს კიდეც. მაშ ვის იცავს ამს, ი. ყ. ვის წისქვილზე ასხამს ის წყალს?

3) პირველ წერილში მე ხაზ-გასმით მოვითხოვდი, რომ მეცხვარეთ მიეცეთ კუთვნილი წმინდა მოგება; წინასწარ მიღებული 2000 მან. კი არ ჩაეთვალოს მათ მატყლის ფასში და მიეცეს გრძელ ვადიან სესხად-მეთქი; ი. ყ. კი სწერს: გ. ც—შვილი „დეკლარატიულად" 8—10 ათას მანეთს მოითხოვსო. რათ დასჭირდა მას ჩემი აზრის ასე „დამახინჯება" (მეტი რომ არ ვსთქვათ? **)

აქაც უნდა განვიმეორო ის, რაშიაც ი. ყ. „მემარცხენეობას" ხედავს (ზევით კი „ბურჟუობას", მადლობა და): მონოპოლიების მთავარი დანიშნულება იყო სავალიუტო ოპერაციები; ამ შემთხვევაში სახელმწიფო, ასე ვთქვათ, საკომისიონს იღებს. მაგრამ, თუ დაგროვილი მატყლი შინამრეწველობას მოხმარდება, ანაზღაურებული უნდა იქნას მხოლოდ სახელმწიფოს საორგანიზაციო ხარჯები. წინააღმდეგ შემთხვევაში **არავითარი გამართლება და ლოღიკა არ აქვს იმას,** რომ სასოფლო მეურნების ერთ-ერთ ნაწარმოებს შინაურ ბაზარზე გამოტანილს, ისეთი დიდი ბაჟი დავადვათ, როგორიც არის ფუთზე 540 მ.; მით უმეტეს, რომ კერძო წარმოების ქსოვილები,—იმერული შალები და სხვ., მაინც სრულიად უკანტროლოდ, აწეულ ფასებში გაიყიდება.

ი. ყ. არწმუნებს მკითხველს თითქოს მე არ მსურს, რომ მატყლი შინა-მრეწველობას მოვახმაროთ" და მხოლოდ „პატარა ჯგუფის მოგებაზე ვზრუნავ"; აქაც ალბათ ეს შეცდომითაა ნათქვამი; მე ვამტკიცებდი სიტყვა-სიტყვით შემდეგს: **„ხანქარიდ უნდა გამოირკვეს ხაზინაო ბაზრის საჭიროება და დანარჩენი მატყლი გატანილ იქნეს ევროპის ბაზარზე, რითაც სახელმწიფოც მოიგებს და მწარმოებელიც**-მეთქი. განა ეს არ არის მართალი? რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი მატყლის, თამბაქოს, აბრეშუმის, და სხვ. შინ გადამუშავება რომ მოხდეს,—ეს რესპუბლიკის აყვავება იქნებოდა, მაგრამ, ნუ თუ თქვენთვისაც არ არის ცხადი, ი. ყ—ო, რომ ჯერ-ჯერობით მთელ მატყლს ჩვენ თითონ ვერ გადავამუშავებთ.

სამწუხაროდ, თქვენ არ გაქვთ ეს გათვალისწინებული, ისევე როგორც მაშინ, როდესაც ამტკიცებთ, თითქოს „ოფიციალურ ფასების გამოცხადებას დაეწიოს მატყლის ფასები 10—25 ათასიდან 4 ათას მანეთამდე": უნდა იცოდეთ, რომ ფასების ასე აწევა აიხსნება მხოლოდ მატყლით თავისუფალ ვაჭრობის აკრძალვით, და თუ თქვენ ფასის დაცემა გინდათ, საკმარისი იყო დაგვეკეტათ საგარეო ბაზარი და გამოგვეცხადებიათ შიგნით თავისუფალი ვაჭრობა: მაშინ მთელი მატყლი შინაურ ბაზარს მოაწყდებოდა და მისი ფასიც 4000 მანეთზედაც ბევრად ნაკლები იქნებოდა. მაგრამ, სამაგიეროდ მეცხვარეობა კი ვერ იხეირებდა.

4. ყველაფერს გაგება და მოფიქრება უნდა. ამ საქმის მთელი უბედურებაც ის არის, რომ მომარაგ. სამ—ოს თავიდანვე საჭებით შემუშავებული გეგმა მონოპოლიის განხორციელებისა არ ჰქონია. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ იყო გადაწყვეტილი ძირითადი საკითხი: საქონლის უცხო ბაზარზე გატანა, თუ შინ გადამუშავება, და ამიტომ არც ერთ შემთხვევისთვის და მეორისთვის სამზადისი არ ჩანდა. ჩვენის აზრით, ასეთ რთულ და ახალ საკითხებს, როგორც მონოპოლიებია, სპეციალური პირი ან ორგანო უნდა ჰყოლოდა მიჩენილი. ეს საკითხები მომარ. სა—ოს რომ თავიდანვე შეესწავლა და ადგილობრივ გასცნობოდა წარმოების პირობებს, არ მოხდებოდა ის, რაც ეხლა მოსალოდნელია; მას რომ მხოლოდ მომხმარებელზე არ ეფიქრა, ზოგჯერ მაინც რომ ვაჭრობა მიეტოვებია და წარმოებითაც დაინტერესებულიყო, დარწმუნდებოდა, რომ ამ ემათ დაწესებული სამონოპოლიო ფასები, (ამ შემთხვევაში მატყლისა) ყოვლად მიუღებელი და საზიანოა ჩვენი მეურნეობისათვის, რადგანაც თავის-თავად ისმება კითხვა: რა იმპულსი, რომელი ძალა უნდა აიძულებდეს მწარმოებელს განაგრძოს და განავითაროს თავისი წარმოება, თუ კი ის ხედავს, რომ დიდი წვალების შედეგად მას ძველი ფასების ნახევარიც (პროპორციულად) ვერ მიუღია?

ვიმეორებთ, პატივცემული ი. ყ. ჩვენ ვიცავთ მხოლოდ საერთო, სახალხო მეურნეობის ერთ დარგს,—მთის მეურნეობას—მეცხვარეობას. ამით დაცული იქნება სახელმწიფოს ინტერესებიც. თქვენც უნდა ზრუნავდეთ ამაზე. თქვენ კი, არამც თუ არ შეათანხმეთ მწარმოებელი და მომხმარებელი, რასაც თქვენ ლამობდით, პირიქით, თქვენ ერთ მხარეზე დგეხართ, როდესაც ყოვლად დაუშვებლად და ახირებულად უპირდაპირებთ „სახელმწიფოს და მისი 2½ მილიონ მცხოვრებთ" ვიღაც „რამდენიმე ათას მეცხვარეს". აი, ნამდვილად ამას ჰქვიან შეტოპვა: თუ თქვენ, „ინტერესების მომრიგებელო" ი. ყ—ო, სახელმწიფოს დაუპირდაპირებთ დღეს რამდენიმე ათას მეცხვარეს, ხვალ მეთამბაქოებს, შემდეგ მევენახეებს და სხვ.,—ბოლოს დარჩებით ერთ მხარეს თქვენ მეორე მხარეს კი მთელი საქართველო თავის მრავალ ფეროვან სასოფლო მეურნეობით. ეს მოხდა იმიტომ თქვენ დგეხართ მხოლოდ მომხმარებლის ინტერესების ნიადაგზე თქვენ დაცინვის კილოთი და და მედიდურად იხსენიებთ „გლეხურ ინტერესებს", „ფარეხის ფსიხოლოგიას" და სხვ. მერწმუნეთ, პატივცემულო ი. ყ, რომ ქურის, გუთნის თუ ფარეხის ფსიხოლოგია,—ყველა, პირველად ყოვლისა, შრომის ფსიხოლოგია არის და ამნაირ კილოთი ლაპარაკი თქვენ არ გეპატიებათ.

გ. ც—შვილი.

---

*) ავტორის ზოგიერთ დებულებებს რედაქცია არ იზიარებს. რედ.

**) როგორ მოხდა, რომ წმინდა მოგებიდან 45°/₀ს სახელმწიფოსათვის იგი ანგარიშობს 570 მანეთს, ხოლო მწარმოებელთათვის 600 მ., ნამდვილად კი ძრის 540 მანეთი. (იხ. ხელშეკრულება „მწყემსთან").

**) ჩემი წერილის შენიშვნაში მხოლოდ ცნობისათვის მე ვანგარიშობდი იმას, თუ რა უნდა ღირებულიყო ამ ჟამად მატყლი, რომ ყოფილიყო დაცული მისი ფასის ისეთივე პროპორციული დამოკიდებულება, როგორც წინად იყო, მ. ი. როცა 1 ფ. მატყლი უდრიდა 1 ფუთ ყველს, 3 ვედრა ღვინოს, 10—12 ფუთ მარილს, 7 ფუთ ხორბალს და სხვ.; გამოდის 10 ათას მანეთზე მეტიც.

საზრდო საჭმლის საკითხი

(სანიტარული შენიშვნები).

III

სიცოცხლე, მაშასადამე, სხეულით საჭმელ-სასმელიდან ამოღებული ენერგია-ძალა ყოფილა, სხეულს რაც უფრო ბევრი მძლავრი ენერგია აქვს, მით უფრო გამძლე, შინაარსიანი და მრავალფეროვანია ადამიანის სიცოცხლე. მიეცით სხეულს საკმარისი ნაყოფიერი საჭმელ-სასმელი და მაშინ სხეული იმდენს ენერგიას დაიმუშავებს, რომ „ადამიანში სიცოცხლე სდუღდეს და გადმოდიოდეს".

ამ დაკვირვებით ხალხის სიბრძნეს თითქოს ბუნების საიდუმლოება სიცოცხლე გაუსხვრეტნია და იქ მართლა დაუნახავს ის ფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც სიცოცხლეს აჩენს.

წამოყენებული თვალსაზრისით თუ დავაფასებთ დღევანდელი საარაკო სიძვირით შეზღუდულ სანოვაგეს და მის უვარგისობას, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ თბილისის მუშა-მოსამსახურეთა დღევანდელი პური და საერთოდ საზრდო—ერის დიდი ნაწილისათვის ძალიან ნაკლები ენერგიის მიმცემია. ეს გარემოება უეჭველია თვით სიცოცხლის ღირსებაზედ არა სასურველ გავლენას იქონიებს და ისეთი გამძლე და მტკიცე არ იქნება, როგორც წინათ, საზრდო-საჭმლის ბარაქიანობის დროს.

პური—პირველ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ საგნებში—უპირველესია. მუშა ადამიანი—ფიზიკურად მშრომელი—შედარებით ინტელიგენტთან და ბურჟუასთან გაცილებით მეტს პურსა ხარჯავს. პური მუშის საკვების ძირითადი საგანია. უმთავრეს მასაზრდოებელ ელემენტებს მუშის სხეული თითქმის მარტო პურიდან ღებს. ცხოველთა სანოვაგე—ხორცი, რძე, ერბო, კარაქი, ყველი, მუშის ნაკლებად ეხარჯება—მისი ჯიბე ამგვარი სურსათის ხარჯვის ამტანი არ არის. ჰიგიენისტ ერისმანის გამოკვლევით მაგალ. მოსკოვის მუშები ორ-მესამედს დღიური მათი ჯანისთვის საჭირო მასაზრდოებელ ელემენტებისას მხოლოდ პურიდან ითვისებდნენ. პური მათთვის უმთავრეს მასაზრდოებელ წყაროდ ყოფილა. და თუ მუშას პური—ეს უმთავრესი მისი მარჩენალი სანოვაგე, არ უვარგა, მაშინ მისი ჯანი განსაცდელში ვარდება. დაბალი ხარისხის პური (როგორიც დღეს თფილისის მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ), ადამიანისათვის საჭირო მასაზრდოებელ მასალას ძალიან ნაკლებად შეიცავს. ამიტომ ადამიანის ჯანი სისტემატიურად არ იღებს იმ სასიცოცხლო ნაწილებს, რომლებიც მას შეშვული პურით უნდა ეძლეოდეს. აი რამდენად განსხვავდება თავის შემადგენლობით მაღალი ხარისხის პური დაბალი ხარისხისაგან. (ნაწილები პროცენტებით არიან ნაჩვენები).

	წყალს	აზოტის ნივთ.	ცხიმს	უაზოტო ნივთ.	ქატოს	ნაცარს.
საუკეთესო ხორბლის პური შეიცავს:	35,59	7,06	0,46	56.58	0,32	1,09
დაბალი ხორბლის პური	40,45	6,15	0,44	51,12	0,62	1,22
უვარგისი ხორბლის პური	43,42	7,59	1,51	45,12	0,94	1,42

რაც შეეხება ქერის პურს იგი შედარებით უკანასკნელი ხარისხის პურზედაც თავის შემადგენლობით გაცილებით მდარეა და უვარგისი. მარტო თავისი ნაწილობრივი შემადგენლობით არ არის დაბალი ღირსების პური ადამიანის ჯანისათვის მიუღებელი. ადამიანის კუჭ-ნაწლევი სხვადასხვა ხარისხის პურს სხვადა სხვანაირათ ითვისებს. ქვემო მოყვანილი ცხრილი მაჩვენებელია თუ რამდენს არ ითვისებს ადამიანის კუჭ-ნაწლევი:

	ცილოვან ნივთ.	ხშელ. ნივთ.	ნახშირბადს
საუკეთესო ფქვილის პურიდან	20,0	4,0	1,1
საშუალო	24,6	6,7	2,6
დაბალი	30,5	12,0	7,4
უვარგისი	45,5	30,8	25,6

მაშასადამე უვარგისი პური კუჭ-ნაწლევს ასე რომ ვსთქვათ, ტყუილად ამუშავებს, უშედეგოდ ენერგიას ახარჯვინებს, სცვეთავს და შემდეგ სხეულისათვის თითქმის სრულიად უსარგებლოდ ადამიანის გვამს სტოვებს. უხეირო პურის ადამიანის გვამში ყოფნა—კუჭ ნაწლევში გავლა, ამით არა თავდება. ადამიანს უვარგისი პურით კუჭ ნაწლევი უსნეულდება. კუჭ ნაწლევის მუდმივი ანთება (კატარი) ემართება. ცუდი პურით გამოწვეული ეს ავადმყოფობა ადამიანს მთელი რიგი სნეულებათა მიზეზად უხდება. ადამიანს თანდათანობით დიდი სისუსტე და სისხლნაკლებობა ემართება. უკანასკნელი მდგომარეობა კი ჭლექის და სხვა მრავალნაირი ავადმყოფობის საუკეთესო ნიადაგია. უვარგისი პური ძალიან ხშირად ადამიანსა სწამლავს. „მათრობელა პურით" მოწამვლის უმთავრესი ნიშნები შემდეგია: პურის ჭამას შემდეგ ორი-სამი საათი არ გადის, რომ ადამიანი ცუდათ ხდება, გულს აზიდებს, პირს აღებინებს, მუცელში უვლის და ძალიან სჩხვლეტავს, ფაღარათობა ემართება, თავბრუ ესხმის, მთვრალივითა ბარბაცებს, თავი საშინლათ სტკივა, სუსტდება, გული ხშირად უფერხდება. ზოგიერთ შემთხვევაში მოწამლულს ხელფეხი ეკრუნჩხება, მთელს ტანს ისე სწიწკნის, თითქოს ჭიანჭველები დახვევიანო, გონებასა ჰკარგავს, სუნთქვა უძნელდება და ადამიანი კვდება. პურით მოწამლულს აუცილებლად საექიმო დახმარება ესაჭიროება.

უვარგისი პური და დაბალი ხარისხის სანოვაგე ადამიანს მაშინ აქვს, როცა ერი ან მოუსავლობის ან რაიმე ისტორიული მომენტის მიზეზით საერთოდ საზრდო-საჭმლის დიდს ნაკლებობას განიცდის. სურსათის ნაკლებობა და უვარგისობა ერთი-ერთმანეთს თან სდევენ, ერთი-ერთმანეთს აძლიერებენ და ამწვავებენ. სანოვაგის ნაკლებობა სანოვაგის ფალსიფიკაციას—სიყალბეს იწვევს. ხალხის ბუნებრივ მოთხოვნილებას, რადგანაც ბაზარი ღირსეული სანოვაგით ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ ყოველნაირი ყალბი სანოვაგით უმასპინძლდება. ნაკლებობის დროს ბაზარს სანოვაგის თითქმის ყველა ჩვეულებრივად სახმარებელ საგნის მაგივრად საბადლო რამდენიმე ყალბი საგანი გამოაქვს. სანოვაგის ნაკლებობის დროს წარსულში ყველაზედ დიდ სიყალბეს—ფალსიფიკაციას—პურის საქმეში ჰქონია ადგილი. რუსეთში მაგალ. სხვადასხვა წლების შიმშილობის დროს აღწერილია ბევრნაირი ეგრეთ წოდებული „საშიმშილო" პური, რომელსაც თავის შემადგენლობით და ღირსებით პირდაპირ განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. საკვირველია იმნაირ პურს როგორ სჭამდა ან როგორ იტანდა ადამიანი?! რადგანაც იგი თავის შემადგენლობით [illegible] კი მოუწ[illegible] და [illegible]. მაგრამ [illegible] ადამიანი ა[illegible] ხომ არ არის, რომ სუყველაფერს არ შეურიგდეს"—სრული ჭეშმარიტების შეიცავს. აი როგორი ყალბი პური შეუძლია იხმაროს თურმე ადამიანმა.

პურის შემადგენლობა:

სად იხმარებოდა.		აზოტიური ნივთიერება	ცხიმი	ჩენჩო	უაზოტო ნივთიერება	ნაცარი.
ორლოვის გუბერ.	ერთი ნაწილი ქატო+ორი ნაწილი ბალახი=	39,71	2,53	30,69	19,86	7,21
სამარის გუბერ.	1/5 ქატო+1/5 ბზე+1/5 ნაცარქათამა+1/5 თავთავის ჩენჩო+1/5 გამოურკვეველი ბალახეულობა=	14,52	3,91	22,90	40,56	17,25
რიაზანის გუბერ.	1/2 თავთავის ჩენჩო+1/2 წითელი ბალახი=	10,25	0,94	32,05	36,55	20,21

გარდა ამ „ბალახის" პურისა წარსულში რუსის ხალხს მუხუდოს, ჭარხლის, შვრიის, კართოფილის, რკოს, ფიჭვის ხის ქერქის და კიდევ ბევრნაირი „პური" უხმარნია საჭმელად. ამნაირი „ვითომდა პური" რუსის ხალხის დიდი დაავადების და უფრო დიდი სიკვდილიანობის ერთგვარი მიზეზი იყო. „ბალახ-ჩენჩოს პური" იყო, რომ რუსეთის უკიდურესად დაბეჩავებულ ხალხს—ხანდისხან მოთმინებას აკარგვინებდა და საწინააღმდეგო სიტყვით და ქცევით პირისპირ მთავრობას უყენებდა.

საფრანგეთში „საშიმშილო კართოფილის პურმა", რომელსაც 1870 წლის ომიანობით გალატაკებული ფრანგი ხალხი ხმარობდა, ერის ჯანმრთელობა იმდენად დასცა, რომ ოცი წლის შემდეგ საფრანგეთის ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა აკლდებოდა, რადგანაც მაგარი და სამხედრო საქმისთვის გამოსადეგი მოზარდი თაობა აღარა ჰყავნდა.

ყველასათვის—როგორც მთელი ერისთვის, ისე კერძოდ თვითეული ადამიანისათვის—აი ასეთი რთული და მრავალ მხრივია საერთოდ სანოვაგის და კერძოდ პურის ნაკლებობის და უვარგისობის მნიშვნელობა.

ამიტომ იმ ერმა, იმ სახელმწიფომ, რომელსაც კი დაატყდება უბედურება—პურისა და სანოვაგის დანაკლისი—აუცილებლად ყოველნაირი ღონით უნდა იღონოს, ყოველნაირი ზომა უნდა მიიღოს, მთელი ეროვნული შემძლებლობით უნდა ფეხზედ დადგეს, რომ უბედურება ჩქარა მოიშოროს თავიდან და მით თავისი მომავალი განსაცდელს ააცდინოს...

ექიმი ე. ლომოური.

სახალხო უნივერსიტეტის გახსნა

კვირას, 31 ოქტომბერს სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ ბინაზე (პლეხანოვის პრ., № 123) მოხდა საზეიმო გახსნა სახალხო უნივერსიტეტისა. სხდომა გახსნა გამგეობის წევრმა **ლორთქიფანიძემ**, რომლის შემდეგაც ორკესტრმა შეასრულა ქართული ჰიმნი. მოკლე და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა **გრიგოლ ნათაძემ**. მომხსენებელი შეეხო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა 1907 წელს. მან აღნიშნა, თუ რა პირობებში უხდებოდა მაშინ უნივერსიტეტს მუშაობა, რის გაკეთება შეეძლო და როგორ უშლიდა ხელს უნივერსიტეტის მუშაობას ძველი მთავრობა, რომელმაც ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვაც კი აკრძალა. დიდი რევოლიუციის შემდეგ 1917 წელს სახალხო უნივერსიტეტი კვლავ შეუდგა მუშაობას და თუ პირველ წელს ლექციები მხოლოდ ცენტრში იკითხებოდა,—1918 წლიდან მან მოქმედება განაპირა უბნებშიაც დაიწყო. პირველათ განყოფილება გახსნა ნაძალადევში, შემდეგ ავლაბარში, ორთაჭალაში, საბურთალოში, ვერაზე და ჩუღურეთში. სულ 8 განყოფილება იყო. ცენტრში ლექციები რუსულ ენაზე იკითხებოდა, განყოფილებებში კი—ქართულად. მომხსენებელი აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომელიც ეღობებოდა განყოფილებების მუშაობას. ლექტორებს ხშირათ ფეხით უხდებოდათ სიარული ისეთ განაპირა უბნებში, როგორიც არის მაგალითად, ერთობის უბანი, ორთაჭალა და სხვა. მიუხედავათ ამისა, მუშაობა მაინც სწარმოებდა, თუმცა არა ისე, როგორც ეს საჭირო იყო. შემდეგ ამისა რექტორი შეეხო იმას, თუ როგორი ხასიათის მუშაობა იქნება

ცენტრში და რა ხასიათის განყოფილებებში. შეეხო რა უნივერსიტეტის ფინანსიურ მხარეს, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრო უხვად გვეხმარება,—უნივერსიტეტს მაინც გაუჭირდება არსებობა, თუ ფართო საზოგადოება არ დაეხმარა მას. რაც შეეხება მსმენელთა რიცხვს, მიუხედავად იმ ეკონომიურ გაჭირვებისა, რომელსაც დღეს მუშათა კლასი განიცდის,—ყოველ დღე უნივერსიტეტში მსმენელთა რიცხვი იზრდება და იმდენი რომ რამოდენიმე ასი კაცი სისტემატიურად ივლის.

შემდეგ ამისა სიტყვას ამბობს განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ქუმსიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ განათლების სამინისტრო ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს უნივერსიტეტს. ესალმება უნივერსიტეტს სოც.-ფედ. პარტიის წარმომადგენელი გ. კოტეტიშვილი. შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა—პროფ. **ივ. ჯავახიშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი მიიღებს მხურვალე მონაწილეობას სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში. დამფუძნებელ კრების სოც.-დემ. ფრაქციის და მის განათლების კომისიის სახელით უნივერსიტეტს მიესალმა **ლევან ნათაძე**, რომელმაც განაცხადა: ჩვენი ფრაქცია და განათლების კომისია ყოველივე დახმარებას აღმოუჩენს იმ დაწესებულებას, რომელსაც დაკისრებული აქვს შეებრძოლოს ბნელეთს და ხალხში კულტურა განათლების სხივი შეიტანოს. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის სახელით უნივერსიტეტს ესალმება **ქრისტ. შარაშიძის ასული**. ქალაქის თვითმართველობის სახელით—**ბენია ჩხიკვიშვილი**.

დამსწრე.

პროფესიონალურ კავშირებში

ფინანსიური ანგარიში 1920 წ. 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე ქალაქის საერთო საავადმყოფო კასისა.

1920 წ. 1 იანვარს მიმდინარე წლის ანგარიშში კასაში იყო 210881 მან. 40 კაპ. ფულით და 12959 მან. 97 კაპ. მოძრავი ქონება. წარმოებებზე შემოსატანი ფული ირიცხებოდა 149778 მან. 90 კაპ. შრომის სამინისტროს დაზღვევითი განყოფილებაზე 19796 მან. 73 კაპ. სათადარიგო კაპიტალი იყო 372779 მან. 17 კაპ. გასული წლის ერთდროული დახმარებისათვის გადასახადი იყო 21,687 მან. 83 კაპ. 1920 წლ. 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე საბრუნავი კაპიტალის სახით შემოვიდა მუშათა და წარმოების პატრონთა გადასახადებისაგან 4110189 მან. ამ დროს განმავლობაში სათადარიგო კაპიტალში გადაირიცხა 216329 მან. 5 კაპ. (მუშათა და წარმოების პატრონთა გადასახადის შემოსავლიდან 5 პროცენტი). აღნიშნულ დროს განმავლობაში კასის მონაწილეთ დახმარების სახით მიეცა 3,310,000 მან. მონაწილეთა ოჯახებს 216200 მან., სიკვდილის დახმარებას საზოგადო ოჯახს მიეცა—252911 მან. საერთო ხარჯი შეადგენს—434330 მანეთს. ავათმყოფობისა, დამარხვისა და დაბადებისათვის კასის საშუალო გადასახადი უდრის 368000 მანეთს. კასის დიდი და მცირე წლოვანთა დამარხვისათვის და დაბადებისათვის დახარჯულია 24022 მანეთი.

კასისა და სხვა ხარჯები უდრის—48260 მანეთს. კასის მონაწილეთა ოჯახის წევრებისათვის საექიმო დახმარებისათვის 1 მაისიდან დაიხარჯა 50,000 მანეთი.

ამ რიგათ კასის საშუალო გასავალი თვეში უდრის—445282 მანეთს. თვიური შემოსავალი კი—456765 მანეთს. 1 ოქტომბრისათვის კასაში იყო 76502 მან. მიმდინარე ანგარიშზე ბანკში იყო 516074 მან. მოძრავი ქონება 23869 მანეთის, სათადარიგო კაპიტალი 589109 მ. შრომის სამინისტროს დაზღვევითი განყოფილებაზე ირიცხება ვალათ 96087 მ. შემოერთებულ კასებმა შემოიტანეს: ორთაჭალისამ 70475 მან., ადელხანოვისამ—10877 მან., მეტყევეთა კასიდან—3743 მან., ავჭალის კასიდან—1979 მან. პენი გადაცილებისათვის და მიმდინარე ანგარიშის პროცენტები 21144 მან.

ლითონზე მომუშავეთა კავშირში.

16 ოქტომბერს შესდგა ქალაქის მექანიკურ სამრეწველოს მუშათა საზოგადო კრება. კრებამ დაადგინა მოთხოვნილება წარუდგინოს ლითონზე მომუშავეთა კავშირს, რათა დაკმაყოფილებულ იქნას მუშათა მძიმე მატერიალური მდგომარეობა. საზოგადო კრების აზრით ეს ზომები უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში: 1) ლითონზე მომუშავეთა კავშირმა დაუყონებლივ უნდა მოითხოვოს ქალაქთა კავშირის ადმინისტრაციისაგან მიეცეს მუშებს 10,000 მ. ერთდროული დახმარება დაუბრუნებლათ და სესხათ თვიურათ გამოკლებით ერთი თვის ჯამაგირი.

2) მოთხოვნილ იქნას პურის რაციონის გადიდება და პირველ საჭიროების საგნების მიწოდების ორგანიზაცია. 3) თფილისის ქალაქის გამგეობის კონტროლთან ერთად დაწესდეს მუშათა კონტროლი. 4) მიმართოს მთავრობას და მიუთითოს მას გამოიმუშაოს ზომები, რომ მოწესრიგებულ იქნას ვაჭართა მოგების განსაზღვრა. ვაჭართა მიერ ხელოვნურად ფასების გადიდება იმ მიზნით, რომ მიიღონ დიდი პროცენტები, საშუალებას უსპობს კოოპერატივებს მიაწოდონ მშრომელთა ღარიბ კლასს სურსათი ხელმისაწვდომ ფასებში. 5) შეწყვეტილ იქნას რესტორანებში, კაბარეში, შანტანებში და ღამის დუქნებში სპეკულიანტთა ქეიფი. საქეიფო ადგილების ნაწილი მოთხოვნილებისდაგვარათ გადაკეთებულ იქნას სასადილოებათ. 6) მოწვეულ იქნას თათბირი შრომის ნაყოფიერების გაძლიერებლათ ზომების შესამუშავებლათ. 7) აიძულონ შრომა საზოგადოების უქმი ელემენტებს.

ვფიქრობთ რა ზემო ჩამოთვლილ ზომებს გადაუდებლათ, ჩვენ, ქალაქის კავშირის მექანიკურ სამრეწველოს მუშები მოვითხოვთ ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირისაგან, რათა მან მხარი დაუჭიროს ხსენებულ ზომების ცხოვრებაში გატარებას.

თამბაქოზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში.

თამბაქოზე მომუშავეთა პროფ. კავშირიდან ბაზარზე კონტროლიორებათ დაინიშნენ ამხ. მ. ბერიანიძე და ვ. თევზაძე.

კავშირის გამგეობამ დაადგინა წევრთა შორის მოგროვილი 50,000 ცალი პაპიროსი შეწიროს სომხეთის ფრონტს. გამგეობამ მოისმინა „პობედას" საქარხნო კომიტეტის მოხსენება იმ ინციდენტის შესახებ, რომელსაც ადგილი ქონდა ხსენებულ ფაბრიკის კომიტეტს შორის. ინციდენტი გამოიხატებოდა იმაში, რომ ფაბრიკის მეპატრონემ დაუმსახურებლათ შეურაცხყოფა მიაყენა ფაბრიკის კომიტეტის თავმჯდომარეს. კავშირის გამგეობამ დაადგინა პროტესტი განაცხადოს ფაბრიკის პატრონის ასეთ აღმაშფოთებელ დამოკიდებულების გამო ფაბრიკის კომიტეტისადმი, მხოლოდ საქმე გადასცეს შრომის კომისარს. განხილულ იქნა საკითხი კავშირის მოსამსახურეებისათვის საექიმო დახმარების მიღებისა და სექციისათვის ინსტრუქციის გამომუშავების შესახებ. პირველ საკითხის შესახებ დადგენილ იქნა კავშირის მოსამსახურეები მიწერილ იქნან საერთო საქალაქო კასაზე.

მეორე საკითხის შესახებ არჩეულ იქნა კომისია კავშირის გამგეობისა და სექციათა წარმომადგენლობისაგან, რომელსაც დაევალა დაწვრილებით შეიმუშაოს და გამგეობის სხდომას წარუდგინოს სექციებისათვის ინსტრუქცია.

უკანასკნელ დროს, თამბაქოს ახალი ფაბრიკების გახსნის შემდეგ, შრომის ბირჟა მწარე საჭიროებას განიცდის კვალიფიციურ მუშებზე, როგორიცაა მაგალითად მექანიკები და სხვანი. კავშირის გამგეობა ფიქრობს რა ანგარიშს ამ გარემოებას და იღებს რა მხედველობაში, რომ ზოგიერთ ფაბრიკებში სპეციალისტები ზედმეტი არიან—აღგენს: მოხსნან უკანასკნელნი თავიანთ ადგილებიდან და გადაზაონ ისინი ახლად გახსნილ თამბაქოს ქარხნებში იმ პირობით, თუ ეს ზარალს არ მიაყენებს წარმოებას და თუ ამის თანხმობას განაცხადებს თვით მუშა.

ს.-დ. პარტიაში

ნავთლუღი. 28 ოქტომბერს შესდგა მე 7 რაიონულ კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა ამხ. ლორიას თავმჯდომარეობით.

კოლექტივი ადასტურებს საგანგებო კომისიის გამოძიებას ამხ. ლორიას მოქმედების შესახებ და სრულ ნდობას უცხადებს ლორიას და მოუწოდებს განაგრძოს ენერგიული მუშაობა.

ამხ-ბი ლორია და სარჯველაძე აკეთებენ მოხსენებას რკ. გზის საავადმყოფოს უფროს ექიმის ამხ. მატილოვის სამსახურიდან გაძევის შესახებ. ამის შესახებ კოლექტივმა მოისმინა განმარტება ცენტ. გამგეობიდან ამხ. ჭიჭინაძის და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „კოლექტივი მწუხარებას გამოსთქვამს ასეთი ამხანაგის მიერ საპასუხისმგებლო პოსტის მიტოვების გამო და გამოსთქვამს სურვილს მისი დაბრუნების შესახებ თავის ადგილზე". მუშათა კლუბის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ სარჯველაძე. ის ამბობს: მას შემდეგ, რაც ეს კითხვა დაისვა, თითქმის წელიწადზე მეტი გადის; თვით ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ კითხვა სერიოზულია და ჯერ გარკვეულ დასკვნამდე ვერ მივსულვართ.

ამ დიდ რაიონის მუშა-მოსამსახურეთ ესაჭიროებათ ერთი ცენტრი, სადაც ისინი კულტურულ და სულიერ საზრდოს მიიღებენ. დროებითი კლუბის შენობა, რომელიც რაიონულ შტაბს ჰქონდა, კოლექტივმა რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოართვა მას და გადასცა პროფ. კავშირებს, რომლებმაც ბოლოს მოინდომეს გადაკეთება და წაიღეს კლუბის ავეჯი, ინვენტარის მუქანა და სხვა. მაგრამ აქ დაიბადა უთანხმოება, რომელიც გამოიხატება ადგილის დასახლებაში. უმთავრეს როლს ერთი მხრივ თამაშობდა რკ. გზის რაიონული კავშირი, მეორე მხრივ სასაკლაოს და სხვა ორგანიზაციები. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ლომჯარიანიძემ, გაბუნიძემ, ლორიამ, ქანქიძემ, ზურაბეიშვილმა, ბეკრიამ, რაზმაძემ და ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა; მოწვეული ამხანაგები დაგვპირდნენ საქმის დაბოლოვებას. ამით გათავდა ამ კითხვის გარშემო კამათი. — პ. ლეჟავა.

მუშათა შორის

თფ. მუნიციპ. მუშა-მოსამსახ. კავშირში. 23 ოქტომბერს ქალაქის სახლის დარბაზში თფილისის მუნიციპალურ წარმოებათა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა ყველა ადგილობრივ კომიტეტების კონფერენცია. კონფერენციას დაესწრნენ 19 დაწესებულების ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენლები, რიცხვით 59 კაცი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ალექსანდრე ბადრიძე.

გასარჩევი იყო ერთი საკითხი: მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა უკიდურესი ეკონომიური მდგომარეობიდან გამოსავალი საშუალების გამონახვა და სურსათ-სანოვაგის შეძენით მატერიალური საშუალების გამოძებნა.

მოხსენება გააკეთა ცენ. კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ბერეჟიანმა, რომელმაც აღნიშნა რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის სიმწვავე და აქედან გამომდინარე ეკონომიური თათბირების მიერ გამომუშავებული ზომები, რომელთა ცხოვრებაში გატარება საფუძვლიანად დაიდება ჩვენს მომავალ ეკონომიურ პოლიტიკას და მაშასადამე, ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. თათბირზე აღიარებულ იქნა, რომ ჯამაგირების მომატება ან დახმარება ფულით უფრო აუარესებს მუშათა მდგომარეობას. აქედან ცხადია, რომ ჩვენთვის მომატებაზე ან დახმარებაზე ფიქრი ზედმეტია, მხოლოდ საჭიროა ჩვენ თვითონ ჩვენი ენერგიული შემოქმედებით და ყველა ცოცხალი ძალების ამუშავებით რამოდენიმეთ შესაძლებლობის ფარგლებში, შევამსუბუქოთ მდგომარეობა. ალმ. კომ. შეიმუშავა მთელი რიგი ზომებისა მუშა-მოსამსახ. სურსათ-სანოვაგის და სხვა პირველ საჭიროების საგნების მომარაგება-შეძენით და თანასწორათ განაწილებლათ, ვინაიდან კომიტეტს კარგათ ჰქონდა შეგნებული, რომ უთანასწორობა განაწილებაში შექმნიდა უკმაყოფილებას. ამისთვის ალმ. კომიტეტმა დაადგინა არსებულ ეკ. საზოგადოებას თითონ ჩასდგომოდა სათავეში, შექმნა ფონდი ყველა მუშა-მოსამსახურეთაგან ათას ათასი მანეთის მოგროვებით, მიეცა წინადადება ქალაქის გამგეობისათვის შეიტანოს თავის მხრივ თვითეულ მუშ.-მოსამსახურეზე ათასი მანეთი, გადაირიცხა კავშირის ფული (ერთი მილიონი) ეკ. საზოგადოების საწარმოვო თანხების გასაძლიერებლათ, მიემართა სესხისთვის ც. და აი ამ ფონდით დაუყოვნებლივ შევეძინა მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგნები. მაგრამ, სამწუხაროთ, დაწყებული საქმე შეგვეფერხა გამგეობის წევრმა—ქალაქის თავის მოადგილემ ბ. ბესელიძემ, რომელმაც რამოდენიმე წარმოების უფროს-ინჟინერებითურთ მოინდომა ქალაქის ორიოდე წარმოების მუშები (მაგალითათ: ქალაქის სასაკლაოს და წყალსადენის ქარხნის მუშები) შეეკავშირებია და მხოლოდ მათთვის დაეარსებინათ კოოპერატივი და ითხოვდენ რა ხსენებულ მუშებისაგან ათას-ათასი მანეთის შეტანას კოოპერატივში, პირდებოდნენ იმდენივე თანხის საქონლის სახით დახმარებას. თუმცა ჩვენმა მუშებმა, როგორც სასაკლაოსი, ისე წყალსადენის ქარხნისა შეიგნეს, რომ ასეთი ჯგუფური კოოპერატივი ვერ დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებას, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრით, კი ასეთი ჯგუფური პოლიტიკის წარმოება უქადდა კავშირის მთლიანობის დარღვევას და კატეგორიულათ უარი განაცხადეს „დახმარებაზე"; მაგრამ ამ საკითხის გამო ქალაქის გამგეობის და ალმ. კომიტეტის შორის უთანხმოების გამოწვევის და საწინააღმდეგო ბრძოლის პროცესში ჩვენ მიერ განზრახული და უკვე პრაქტიკული ზომების მიღების საქმე შეფერხდა. მომხსენებელი ამბობს, აი ამ საკითხის გამოსარკვევათ და ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯების დასადასტურებლათ და შესაწონებლათ საჭიროთ დაინახა ალმ. კომიტეტმა მოეწვია ყველა კომიტეტების წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე გამოიტანს თავის დადგენილებას; უკანასკნელი სავალდებულო უნდა იქნას, როგორც მუშა-მოსამსახურეთათვის, ისე ბესელიძისთვისაც თავის ინჟინერებითურთ.

მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. ყველა ორატორები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ბესელიძის პოლიტიკის გამო და მხარს უჭერენ ალმ. კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ კონფერენციამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: კონფერენცია, იღებს რა მხედველობაში ფრიად მწვავე ეკონომიურ კრიზისს, რომელიც მძიმედ აწვება რესპუბლიკის მუშათა კლასს და კერძოთ კავშირის წევრთ, რის გამო სათითაოთ მათ უძნელდებათ საჭირო სურსათით და პირველ მოთხოვნილების საგნებით დაკმაყოფილება,—ავალებს კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, რათა მან ამ მხრივ მიიღოს ყოველივე ზომები, რისთვისაც დაუყონებლივ გადადგას შემდეგი ნაბიჯები: 1) არსებული ეკონომიურ საზოგადოებას თითონ ჩაუდგეს სათავეში, 2) ყველა მუშა-მოსამსახურენი ვალდებულათ გახადოს ჩაეწერონ წევრებათ ეკ. საზოგადოებაში, 3) ეკ. საზ. პაი გადიდდეს 1000 მანეთამდე, 4) მოეთხოვოს ქალაქის გამგეობას მიიღოს აქტიური და ენერგიული მონაწილეობა მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობის შემსუბუქების საქმეში, რისთვისაც მან (გამგეობამ) ეკ. საზოგადოებას უნდა გაუწიოს შემდეგი დახმარებანი: ა) შეიტანოს საწარმოო თანხების გასაძლიერებლათ 1000 მანეთი თვითეულ მუშა-მოსამსახურეზე, ბ) აძლიოს მას (საზოგადოება) სისტემატიურათ საწარმოო სურსათი გაწყობილებიდან მანუფაქტურა, ფეხსაცმელი, ქართოფილი, ლობიო, ბრინჯი, ნავთი, შაქარი, ქვანახშირი და სხვა, ხოლო სასაკლაოს საპნის ქარხნიდან საპონი.

შემდეგ რიგის გარეშე სიტყვას თხოულობს წყალსადენის ქარხნის მუშების წარმომადგენელი გ. მეტრეველი, რომელსაც წინადადება შეაქვს დაისვას დღის წესრიგში საკითხი ერთდროული დახმარების შესახებ და გაიხსნას კამათი. მ. ბერეჟიანს წინადადება შეაქვს ხსენებული საკითხი არ დაისვას დღის წესრიგში და მოუცადონ მომავალ თათბირს, რომელიც უნდა შესდგეს სეკრეტარიატში. ხმის დიდი უმეტესობით ბერეჟიანის წინადადება უარყოფილ იქნა, საკითხი დღის წესრიგში დაისვა. ცხარე კამათის შემდეგ ერთხმათ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: თუმცა ეკონომიურმა თათბირმა ვერ დაინახა შესაძლებლათ მუშა-მოსამსახურეთათვის მიეცათ დახმარება და გამოიმუშავეს მხოლოდ მთელი რიგი ზომებისა, რომელთა ცხოვრებაში გატარებამ შეიძლება გააუმჯობესოს ჩვენი მდგომარეობა მხოლოდ მომავალში, მაგრამ დღეს სიძვირის სიმწვავემ მიაღწია საშინელ სიძლიერეს და მუშა-მოსამსახურეთ უქადის ფიზიკურ განადგურებას; რომ მოსალოდნელი საშინელება თავიდან აცილებულ იქნას და არ განვლდეს ის ღელვილობები, რომელიც ამ წუთში ჩვენი ყოველი რევოლუციონერ შემოქმედებისათვის დაბლა შეუწყვეტ შრომის ნაყოფიერების ზრდას, აუცილებლად საჭიროა წარედგინოს სადაც ჯერარს, რომ მუშა-მოსამსახურეთ მიეცეთ სესხის სახით 10,000 მანეთი თვითეულს, რათა საშუალება მიეცეს მუშა-მოსამსახურეთ შეიძინონ ამ ზამთრისათვის შეშა მაინც. დადგენილ იქნა წარედგინოს რეზოლუცია პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატს სისრულეში მოსაყვანათ.

მდივანი დ. ქუჩულორია.

პროვინცია

ხ. ოფეთი. (გომის თემი) ეს სოფელი გომის თემს სოფლებიდან განირჩევა თავისი მიწის ცუდი ნიადაგით, წარსულ წელს მეტათ მცირე მოსავალი იყო და წელსაც ბუნების მოვლენის წყალობით სიმინდის მოსავალს მეტათ ცუდი პირი უჩანს.

რაც შეეხება სწავლა-განათლების საქმეს, უნდა ითქვას სამწუხაროდ, რომ არის სასურველად დაყენებით არსებობს ერთი დაბალ-დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც ისე არის დაზიანებული, რომ ზამთარში შიგ მეცადინეობა შეუძლებელია; ზაფხულობით გარეთაც კი შეიძლება მეცადინეობა, თუ კი მასწავლებელს საჭირო ნივთები ექნება. მაგრამ ქართული ანდაზის არ იყოს „მოთითმადაბლე ფეხი თავი და გააკეთე ფლავი". ამ წლით კიდევ გაიჭირებდა მასწავლებელი, რომ მას ქონდეს სამასწავლო ნივთები საკმაოდ. აბა რა ქნას მასწავლებელმა, და ან მოწაფემ როგორ უნდა ისწავლოს, რომელსაც ერთ ჭერზედ ოთხი-ხუთი ბავში ზის და ოთხ განყოფილებას ერთი დაფა აქვს, მთელ სკოლაში ერთი სამასწავლო შაგიდი არის და იგიც პირველ განყოფილების ოთახში არის და სხვა მასწავლებლებს ჟურნალი და სხვა ნივთები, სადღაც სკოლის კუნჭულში უგდიათ. შეიძლება მკითხველმა საზოგადოებამ იფიქროს, „იქ ხალხი არ არსებობსო?" მაგრამ უნდა ვსთქვა სიმართლე, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი კულტურულ დაწესებულების შესახებ, ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ, ხოლო საქმით კი სუსტობენ და ადგილობრივ მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს. როგორც მასწავლებლები მიმართვენ ადგილობრივ მთავრობას, ის სიტყვით ყველაფერს პირდება სოფელს, ხოლო საქმით კი არაფერს არ აკეთებს, და კულტურულ დაწესებულება თავის ნიადაგზე რჩება. 1917 წელს ერთი ინტელიგენტის პირის წყალობით დაარსდა სამკითხველო, მაგრამ ის ერთი წლის შემდეგ სრულებით გაქრა და არავინ არ ცდილობს ეს სამკითხველო კვლავ აღადგინოს.

გრა-კანდე.

ქ. ლანჩხუთი. ლანჩხუთის სადგურის უკან, დიდ შარა გზაზე, რომლითაც მგზავრები სარგებლობენ, კანავო ამოვსებულია ძირ სქელა ბალახებით, რის გამო წვიმების დროს დგება უზარმაზარი წყალი მთელი შარა გზაზე და ფეხით გავლა შეუძლებელი ხდება, ხალხი იძულებული ხდება ურმით გავიდეს ანდა ზურგზე აიკიდოს ვინმე ან და ამაში ბლომად ფულიც გადაიხადოს. შეუძლებელია, ასეთი უყურადღებობა. ნუთუ არ შეიძლება ეს „კანავო" ამოიწმინდოს? ასეთი პატარა შესაძლებელი საქმე, შეუძლებლათ არ უნდა გახადონ, ვისგანაც ეს არის დამოკიდებული.

ლუკა ურუშაძე.

ცნობები

26 ოქტომბერს დილით, როდესაც სამსახურში ვიყავი წასული, შერჩეული გასაღებით გამიღეს ოთახი. სხვათა შორის წაიღეს ს. ს. დ. 3. ბილეთი, ტრამვაის უფასო ბილეთი და საუფასო პასპორტი აღებული 1905 წ. ოზურგეთის სამმართველოდან, რომელსაც ვაცხადებ გაუქმებულათ, ევტიხი ჩხიკვიშვილი.

დავკარგე ქალ. გამგეობიდან მიცემული ტრამვაის ბილეთი სურათით მეშვიდე ნომერ ტრამვაიზე რიყესა და ვერანცოვის ხიდს შუა, მნახველს ვთხოვ მოიტანოს ზუბალაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში, რისთვისაც მიიღებს შესაფერ გასამრჯელოს. (კირკის ქ. სახალხო სახლის ბიბლიოთეკა) იულია ვ. დარახველიძის ასული.

რედაქტორი ლევან ნათაძე

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებელი

ამზადებს ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

22 ოქტომბერს სოციალურ დახმარების საზოგადოების თავშესაფარიდან

გაიქცა

10—12 წლის გოგო, მარო კაკაბაძე აცვია სურმისფერი შალის კაბა, თეთრი პირი სახე, თმა შავი. მნახველს ვთხოვ დააბრუნოს დასახელებულ საზოგადოებაში. (3532—1—1)

ყ. უფლ. გიმნაზ. დამთავრ. და გამზ. ი. მ მაჩაიძე, მათემატიკის

მასწავლებელი

ამზადებს ბავშვებს და მოზრდილთა მოწმობაზე 1, 2, 3, 4, 5, 6 კლ. შესასვლელად—საშუალო და უმაღ. დაწყებითი სასწავლ. აგრეთვე ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მატემატიკაში ენებში და სხვა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ალიქსის ქ. კუთხიდან). 3—1 ს. 3—5 ს. (3483—6—4)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—[illegible]. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 5—8 საათამდე. 11 დეკ.

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

ავადმყოფებს მიღება ყოველდღე 1 ს.—4. ს. [illegible] ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ბოკერიასი

(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) ღებულობს ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს ღებულობ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი

გ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4 [illegible] 21 დეკ.)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანს და ბავშვების სნეულებებს, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 4—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

ე. გ. მქინარიშვილისა

შეშხაპუნება „606" და „914".

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

ექიმი

სოლომონ ისაის ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი

გენრიხ ისაის ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს. საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 ([illegible]), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

ექიმი

ნ. დ. [illegible]

იღებს სამეანო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გორის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი. ბაქტერიოლოგია, სეროლოგია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, ბგერის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 29. [illegible]

ქ. ბ. პართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

ექიმი

დავით ლუკას ძე

კილურაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაციით ცისტოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ხევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე.)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—ნოემ.)

ექიმი

პ. ცუშელაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს:

საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.)

1-ლი საარტილერიო დივიზიონის მე-2 ბატარეისთვის

საჭიროა მეჯოგრის ნაცვალი

ყოფილი არტილერისტი ან კავალერისტი. პირობების გაგება შეიძლება ბატარეის კანცელარიაში, ქ. ბათომში. (3521—1—1)

[illegible] სტამბა, [illegible] ქუჩა №4